განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
(სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა)

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

**ნინო ვასაძე**

**წევრები:**

ავთანდილ კეჭაყმაძე - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
თამარ ბერიძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ანი მეხუზლა - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)
ნათია ქათამაძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
ხათუნა კალმახელიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)
მორის გუმბარიძე - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
ნინო ჯახველაძე - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
მზია დადვანი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
ქეთევან ქოზალია - ( სპორტის საგნობრივი ექსპერტი)
ეკატერინე კვირკველია - (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | **სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა** |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | **243571112** |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ხარაგაული** |
| იურიდიული მისამართი | **ხარაგაული  სადგური მარელისი** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ხარაგაული  სადგური მარელისი** |
| საფოსტო ინდექსი | **5600** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  ვებ-გვერდი | ვებგვერდი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების  ელ-ფოსტა | marelisi@mes.gov.ge |

| | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | **577977473** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი) | #964816 ; 04.08.2023 წ. |
| ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში) | 13-14 სექტემბერი, 2023 წ. |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

| **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა** | **ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სადგური მარელისი |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხური | ქართული | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარელისი |
| ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხური | ქართული | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სადგური მარელისი |
| ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხური | ქართული | ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სადგური მარელისი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 04 აგვისტოს #964816 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის განვახორციელეთ ვიზიტი სსიპ ხარაგაულის მუნუიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლაში ორ მისამართზე: ხარაგაული, სადგური მარელისზე და სოფელ მარელისში, ა.წ . 13 და 14 სექტემბერს. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტამდე მოხდა დოკუმენტაციის შესწავლა და დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან: ნაწილი დოკუმენტაცია წარმოდგენილ იქნა ადგილზე მატერიალური სახით, ნაწილი კი ელექტრონული სახით. ვიზიტისას შეფასდა ოთხივე სტანდარტი,მათ შორის მეორე სტანდარტი თითოეული საფეხურისთვის. ექსპერტები ვიზიტისას გაესაუბრნენ ადმინისტრაციის და საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებს, ასევე ინტერვიურება ჩატარდა სპეციალურ მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან.

### VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

- დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არაფორმალურ განათლებას. სკოლას ჰყავს აქტიური თვითმმართველობა, ჩამოყალიბებულია სასკოლო კლუბები, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს.
- სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის ფარგლებში სკოლამ დაიმატა ისეთი ტიპის თანამშრომლები, რომელიც არ იყო განსაზღვრული სკოლის საშტატო ნუსხით მოსწავლეთა მცირეკონტიგენტიდან გამომდინარე, თუმცა საჭიროება ჰქონდა დაწესებულებას. დაწესებულებამ აღნიშნული პირები დაასაქმა სხვადასხვა პოზიციაზე, რითაც გაუმჯობესდა სკოლის საქმიანობა, ხელი შეეწყო სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში მოსახლეობის დასაქმებას.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| **სტანდარტი/კომპონენტი** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☒ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☒ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br><br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br><br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის დროს)

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების განაცხადში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ☒ | |

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 100 (ასი) | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |

--------------------------------------

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ხარვეზები არ დაფიქსირებულა.*

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს; |

| | | |
|---|---|---|
| | | ➢ შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა ორივე სასწავლო კორპუსში (14.09.2023-14.03.2024).<br>➢ სამედიცინო ოთახის მოწყობა სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში და ექთნის აყვანა (15.11.2023-15.11.2024). |
| 3.4.1.2 ინდიკატორი | სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; | ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(15.11.2023-15.11.2024 ) უზრუნველყოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა-გადამზადება და შენობის კამერებით აღჭურვა. |

## V. რჩევები

| *სტანდარტი N1* | *სკოლის ფილოსოფია* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 1.1.1.1* | სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; | *ექსპერტთა რჩევაა, ხედვის ფორმულირება მოხდეს იმგვარად, რომ გამოხატავდეს არა მიღწეულ შედეგს, არამედ სამომავლოდ რის მიღწევა სურს დაწესებულებას.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N 1.2.1.3* | სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; | *ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში და სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი ჩამოყალიბდეს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა)* |
| *ინდიკატორი N 1.2.2.3* | სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; | *ექსპერტთა რჩევაა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაიწეროს გეგმების შესრულების ანგარიშების ვებგვერდზე განთავსების აუცილებლობა.* |
| ***სტანდარტი N3*** | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N 3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | *ექსპერტთა რჩევაა,*<br>➢ *დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*<br>➢ *ძირითად სასწავლო კორპუსთან მოეწყოს სეისმური მდგრადობის ამაღლების მიზნით დამატებითი განივი კედლები ან/და კარკასი სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად.* |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| | (დაწყებითი საფეხური) | |
| 2.1.1.1. | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები; |
| 2.1.1.3 | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გზები. |
| 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით. |
| 2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | ექსპერტთა რჩევაა, *საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება* |
| 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. | ექსპერტთა რჩევაა, *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს* |

| | | |
|---|---|---|
| | | *კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ)* |
| 2.2.2.3 | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. |
| 2.2.2.6 | სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. | ექსპერტთა რჩევაა, *შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.* |
| 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. |
| *2.3.1.3* | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი |

| | | |
|---|---|---|
| | | მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. |
| 2.3.2.1 | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით; |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(საბაზო საფეხური) | *რჩევა* |
|---|---|---|
| 2.1.1.1. | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები; |
| 2.1.1.3 | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გზები. |
| 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, |

| | | |
|---|---|---|
| | | დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით. |
| 2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | ექსპერტთა რჩევაა, *საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება* |
| 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. | ექსპერტთა რჩევაა, *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ)* |
| 2.2.2.3 | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. |
| 2.2.2.6 | სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. | ექსპერტთა რჩევაა, *შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო* |

| | | |
|---|---|---|
| | | *საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.* |
| 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. |
| *2.3.1.3* | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. |
| 2.3.2.1 | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით; |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(საშუალო საფეხური) | *რჩევა* |

| | | |
|---|---|---|
| 2.1.1.1. | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები; |
| 2.1.1.3 | კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გზები. |
| 2.1.2.1 | შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით. |
| 2.1.2.4 | განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; | ექსპერტთა რჩევაა, *საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება* |
| 2.1.2.5 | დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. | ექსპერტთა რჩევაა, *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის* |

| | | |
|---|---|---|
| | | *მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ)* |
| 2.2.2.3 | შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; | ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. |
| 2.2.2.6 | სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. | ექსპერტთა რჩევაა, *შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.* |
| 2.3.1.1. | მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით. |
| *2.3.1.3* | მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი |

| | | |
|---|---|---|
| | | მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად. |
| 2.3.2.1 | შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს; | ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. |

### *VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

### *VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე*

დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15[2] მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

- 3.4.1.1 ინდიკატორი სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ; სკოლას

არ აქვს სამედიცინო ოთახი სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში და არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი.

- 3.4.1.2 ინდიკატორი სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებას არ ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სოფელ მარელისში და შენობა არ არის კამერებით აღჭურვილი. აღნიშნულ ხარვეზებთან მიმართებით შეიცვალა შეფასება და შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე- 10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა შემდეგ ხარვეზთან მიმართებით:

- ინდიკატორი N 1.2.1.2 სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას).
- ინდიკატორი N3.1.2.4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
- 3.6.2.1 ინდიკატორი - სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წამოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ მხედველობაში იქნა აღნიშნული დოკუმენტი გაანალიზდა სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნასთან მიმართებით და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

N3.4.1.1 სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას- ინდიკატორთან მიმართებით გათვალისწინებული იქნა ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები და საბოლოო დასკვნიდან ამოღებული იქნა შემდეგი ხარვეზები:

➢ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

➢ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა ძირითად და სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში(შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);

➢ არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი ძირითად სასწავლო კორპუსში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად. საბოლოო ჯამში, აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად ზემოთმოცემულის საფუძველზე.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

### 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სსიპ ხარაგაულის მუნიციპლიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მისიაა შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული გარემო, უსაფრთხო გარემოში აღზარდოს მოსწავლე, რომლის ცოდნა იქნება მყარი და დინამიური და შეძლებს მიღებული ცოდნის რეალიზებას და თავის წვლილს შეიტანს -ხელს შეუწყობს ქვეყნის სახელმწიფოებრივი, მეცნიერული, ეკონომიკური და ბუნებრივი

მონაპოვრების დაცვას, განვითარებას და მსოფლიოს სივრცეში ინტეგრაციას. სკოლის ხედვით სკოლა მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის უნარის და ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას, მოსწავლეთა ხელშეწყობას წარმატების მიღწევაში. აღნიშნული მისია და ხედვა თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვა არის წარმოდგენილი ახლანდელ დროში და გამოხატავს უკვე არსებულ რეალობას, მიღწეულ შედეგს. სასურველია ხედვა აღწერდეს, როგორი უნდა იყოს სკოლა მომავალში, რის მიღწევა სურს დაწესებულებას და რა მახიასათებლებით გეგმავს აღნიშნულს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, ხედვის ფორმულირება მოხდეს იმგვარად, რომ გამოხატავდეს არა მიღწეულ შედეგს, არამედ სამომავლოდ რის მიღწევა სურს დაწესებულებას.*

**2.** დაწესებულების მისიასა და ხედვაში გაცხადებულია, რომ არის სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც მოსწავლეებს უქმნის განათლების მიღებისთვის აუცილებელ უსაფრთხო გარემოს. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულება ჩართულია სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროგრამებში და წარმატებით საქმიანობს ამ მიმართულებით ,კერძოდ: ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამა, USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა, UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდის პროგრამა, USAID-ის გენდერული თანასწორობის პროგრამა, USAID საბაზისო განათლების პროგრამა. სკოლაში ფუნქციონირებს ეკო, სამოქალაქო განათლების , ბავშვთა უფლებების დაცვის, გენდერული, მკითხველთა კლუბები. მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინიციატივით ტარდება საგანმანათლებლო, სოციალური და კულტურული ღონისძიებები. კლუბები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ადმინისტრაცია მაქსიმალურად უწყობს ხელს სკოლის სოციოკულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას ხელს და ორიენტირებულები არიან თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებაზე, რაც ასევე აღნიშნულია დაწესებულების ხედვაში, რომ სკოლა მიმართულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების, უნარის და ნიჭის გამოვლენასა და აღნიშნულის გამოსავლენად ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** დაწესებულებამ წამოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის # 2-49 ბრძანებით. აღნიშნულიდ დოკუმენტის თანახმად სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებები არის სტრატეგიული გეგმის შემადგენელი ნაწილი. სტრატეგიული გეგმის მომზადების ფაზაში ხდება სკოლის

მისიის განაცხადის რევიზია და სამომავლო ხედვის ფორმირება. დაგეგმვის ჯგუფი განიხილავს მისიის განაცხადს და საჭიროების მიხედვით, მსჯელობს მის გადახედვაზე. ასევე, მსჯელობს სკოლის გრძელვადიანი ხედვის შესახებ და შეიმუშავებს ხედვის პირველად ვარიანტს. მეთოდოლოგიის თანახმად, დაგეგმვის პროცესის ინიცირების ფაზაში ხდება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირება. დაგეგმვის ჯგუფი არის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ერთეული. იგი პასუხისმგებელია სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავებაზე და პროცესში სკოლის საზოგადოების ჩართვაზე. ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს და ბრძანებით ამტკიცებს დირექტორი. ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 აპრილის #2-37 ბრძანება, რომელითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. ასევე წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია-ჯგუფის ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ სკოლის მისიის და ხედვის რევიზირება მოახდინა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. მეთოდოლოგიის თანახმად, დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული გეგმის პროექტს ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული თანხვედრაში არ მოდის სკოლის მიერ დადგენილ წესთან. დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დასტურდება რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წაარმოადგენს როგორც სტრატეგიული გეგმის ისე სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმები, რითაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოება იზიარებს და ეთანხმება ძირითად პრიორიტეტებს და სკოლის სამომავლო ხედვას. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს წევრები-მშობლები და პედაგოგები, ასევე პედაგოგიური საბჭოს წევრები იცნობენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიით რეგულირდება სასკოლო საზოგადოებისთვის მისიის და ხედვის გაზიარების მექანიზმები. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისადმი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულებას სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი განთავსებული აქვს სკოლის დერეფანში. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები.

სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებზე სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა მტკიცებულების სახით სკოლის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე განთავსებული პოსტი-ფოტომასალა, რითაც დასტურდება საჯაროობის უზრუნველყოფის და დოკუმენტის გაცნობის ფაქტი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** სკოლის სახელწოდება, სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლა ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანების შესაბამისად, სრულად შეესაბამება სკოლის სტატუსს. დაწესებულება არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შესაბამისად აღნიშნული ჩანს მის დასახელებაშიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ კითხვარები;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის #448 ბრძანება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წამოადგინა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის # 2-49 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტი არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაგეგმვის პროცესი განსაზღვრულია თანამონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით. მეთოდოლოგიით ასევე განსაზღვრულია სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობა დაგეგმვის პროცესში, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას დირექტორის ბრძანებით იქმნება სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც

პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე, ამ პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვასა და ინფორმაციის გაზიარებაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის ციკლური-ექვემდებარება გადახედვა-რევიზირებას, ცვლილებების შეტანას. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ გეგმა არ მოიცავს სრულად შვიდწლიან ციკლს, რადგან მოიცავს 2023-2029 წლებს, ხოლო დამტკიცებულია 2023 წლის სექტემბერში. სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს/დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები. დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, მიზნის შესაბამისად გამოყოფილია ამოცანები. სკოლის მიერ გამოყოფილი სტრატეგიული მიზნები თავსებადია სკოლის მისიასთან და ხედვასთან. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა აღნიშნული დოკუმენტი. მეთოდოლოგიის თანახმად, დაგეგმვის ჯგუფის მიერ საბოლოოდ მოწონებულ სტრატეგიული გეგმის პროექტს ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ ვიზიტისას წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული თანხვედრაში არ მოდის სკოლის მიერ დადგენილ წესთან. როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, აღნიშნული წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და მოხდებოდა შესწორების შეტანა. დასკვნის პროექტში **ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 251 მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესრულების მტკიცებულება-2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს შვიდწლიან პერიოდს და დამტკიცებულია მეთოდოლოგიის შესაბამისად სამეურვეო საბჭოს მიერ. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

**3.** სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის # 2-49 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია არეგულირებს სამოქმედო გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სამოქმედო გეგმა მოიცავს

ამოცანებს, აქტივობებს, მათი შეფასების ინდიკატორებს/მაჩვენებლებს, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურულ ერთეულების დასახელებებს, დამდგარი შედეგის შეფასების წყაროს, აგრეთვე ამოცანის განხორციელების ვადებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმა არის სამწლიანი. თუმცა როგორც ადმინისტრაციამ განმარტა, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს. სკოლას თვითშეფასების განაცხადშიც ჰქონდა აღნიშნული, რომ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, შეიქმნებოდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და ვიზიტისას ექსპერტებს წარედგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთწლიანი და მოიცავს 2023-2024 სასწავლო წლისთვის შესასრულებელ აქტივობებს. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სამოქმედო გეგმის დოკუმენტი. იგი მოიცავს სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილ სტრატეგიულ მიზნებს, გაწერილია მიზნის შესრულების შესაბამისი აქტივობები, მითითებულია კონკრეტული აქტივობისთვის შესრულების ვადა, პასუხისმგებელი პირები. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ისეთი აქტივობებიც, რაც სკოლას სჭირდება ავტორიზაციის სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, მაგალითად მარეგულირებელი დოკუმენტების დახვეწა. შესაბამისად, სკოლის 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდანაც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში და სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი ჩამოყალიბდეს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.*

**4.** სტრატეგიული დაგეგმარების მეთდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საშუალოვადიან პერიოდში დაგეგმილი აქტივობების აღმწერ დოკუმენტს. იგი მოიცავს ამოცანებს, აქტივობებს, მათი განხორციელების ვადებს, შესრულების მაჩვენებლებს, ამოცანის მიღწევის დამადასტურებელი წყაროების აღწერას, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს, საჭირო რესურსებს, ჩართულ მხარეებს და რისკებს. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავებულია მეთოდოლოგიის თანახმად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ✓ 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;

- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

**1.2.2 სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 სექტემბრის # 2-49 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული მიმართულებების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად. მას იხილავს სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რის შემდეგაც მის მიგნებებს/დასკვნებს ითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. აღნიშნული განხილვის შედეგად, ასევე შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნას ცვლილებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** .სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით გაწერილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგები გაზიარდება დაინტერესებულ

პირებთან მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების საბოლოო შედეგები წარედინება სკოლის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით და გამოიყენება შემდგომი დაგეგმვის ან ცვლილების განხორციელების ეტაპზე. სკოლას აქვს წინარე გამოცდილება და როგორც დირექტორმა აღნიშნა გასაუბრებისას, რეგულარულად ხდებოდა და ხდება სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. სტრატეგიული დაგეგმარების მეთდოლოგიაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება მოქმედებს გამჭირვალობის პრინციპით,** სტრატეგიული დაგეგმვისას და შეფასებისას იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებსა და პროცედურებში. დირექციის წარმომადგენლებმა ექსპერტებთან ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ დაწესებულება გეგმავს შეფასების შედეგების ვებგვერდზე განთავსებას და საჯაროობის უზრუნველყოფას, მით უმეტეს, რომ სკოლას უკვე აქვს მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია სკოლის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაიწეროს გეგმების შესრულების ანგარიშების ვებგვერდზე განთავსების აუცილებლობა.*

**4.** სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მონოტორინგის და შეფასების შემდგომ ცვლილებების განხორციელება. ცვლილებს ინიცირებას აკეთებს სკოლის დირექტორი. ინიცირებამდე სამუშაო ჯგუფი ანალიზის საფუძველზე აყალიბებს მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რასაც მოჰყვება ინიცირება. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. ანგარიშის საფუძველზე გადაიხედება სტრატეგიული გეგმა და განისაზღვრება მასში ცვლილებების შეტანის საჭიროება. მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში საფუძვლად ედება შემდგომი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და პირს, რომელიც განსაზღვრული აქვს სკოლას საშტატო განრიგით ან რომლის ყოლის საჭიროებაც შეიძლება გაუჩნდეს დაწესებულებას. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ასევე დაწესებულების სტრუქტურას, სტრუქტურაში ჩანს დაქვემდებარებულთა იერარქია. სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე ექსპერტთა ვიზიტისას აღარ ჰყავდა დირექტორის მოადგილე და ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია თითოეული სტრუქტურული ერთეულისა და საშტატო ერთეულისთვის შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი. ექსპერტთა მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა აღნიშნული

დოკუმენტი. თითოეული თანამდებობისთვის ჩამოყალიბებულია ზუსტი სამუშაო აღწერილობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** დაწესებულების საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამშრომლის არსებობა ხელს უწყობ საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას. მრჩეველთა საბჭო და დისციპლინარული კომიტეტი ტექნიკურ პერსონალთან ერთად ზრუნავს სკოლაში უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოს შექმნაზე. ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო და კათედრები ზრუნავს სასწავლო პროცესის დაგეგვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. დირექცია ფასილიტაციას უწევს ამ პროცესებს, ჩართულია თითეული რგოლის მუშაობაში, აფასებს განხორციელებულ პროცესებს და საჭიროებისამებრ გასცემს რეკომენდაციებს. სამეურვეო საბჭო საჭიროებისამებრ წარუდგენს სკოლის დირექტორს რეკომენდაციებს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას, ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესსა და ბიუჯეტს, იბარებს სკოლის დირექტორისგან წლის ბოლოს ფინანსურ და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი;
- ✓ ფუნქცია-მოვალეობები;
- ✓ სტრუქტურა;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- ✓ სამოქმედო გეგმა;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმი.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია პერსონალის მართვის პროცედურები. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი სტრატეგია და მიზნები, პერსონალის შერჩევის წესი და პროცედურები, პერსონალის შემუშავებული სამუშაოს შეფასება, პერსონალის პროფესიული განვითარება ; პერსონალის წახალისება მათ შორის პერსონალის დაკავშირებული ინიციატივების წახალისება. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 07 სექტემბრის #1ოქმით. შინაგანაწესი არეგულირებს პერსონალის დისციპლინურული პასუხისმგებლობის საკითხებს; თანამშრომლებს შორის კომუნიკაციას; პერსონალის განთავისუფლება და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესი თანხვედრაშია საქართველოს შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** პერსონალის მართვის საკითხებს და დაწესებულების პოლიტიკას ამ მიმართულებით განსაზღვრავს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი გამოიყენება მართვის პროცესში და მოიცავს როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორმა ინტერვიურებისას განაცხადა, რომ იგი რეგულარულად აფასებს სკოლაში არსებულ ვითარებას, აფასებს პერსონალის მუშაობის პროცესს და საჭიროების შემთხვევაში საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ახდენს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე დაწესებულებას საშტატო ნუსხით არ ჰყავს განსაზღვრული ზოგიერთი თანამდებობა, რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და

საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მაგალითად კლასის დამრიგებლის ფუნქციის დაკისრება, მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და სხვა. ასევე, პანდემიის პერიოდში თერმოსკრინინგის ჩატარება, დისტანციისა და ჰიგიენური პირობების დაცვაზე მონიტორინგის განხორციელებაც კონკრეტულ თანამშრომლებს ჰქონდათ დავალებული. დაწესებულების ხელმძღვანელობა აანალიზებს არსებულ სიტუაციას და ატარებს საჭიროებისამებრ როგორც პრევენციულ ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები: ვაკანსიის გამოცხადება, პერსონალის მოზიდვა და შერჩევა. დაწესებულების მიერ გამოცხადებული კონკურსი არის საჯარო და ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის, შეიცავს კონკურსის გამოცხადებისთვის დადგენილ ყველა აუცილებელ პირობას, კანდიდატისადმი წაყენებული მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს გამჭირვალობასა და ობიექტურობას. სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიუში, რომ კონკურსის გამოცხადებისას ხელმძღვანელობს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით, ცვლილება №61/ნ 23.05.2022წ.რომლის მიხედვითაც, საჯარო სკოლის კომისიის წევრად აგრეთვე უნდა განისაზღვროს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი, სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი, სსიპ – მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი და მასწავლებელთა პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.“. მტკიცებულების სახით, წარმოდგენილ იქნა გასული წლის კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი ოქმები, რითაც დასტურდება, რომ დაწესებულებამ იხელმძღვანელა მოქმედი კანონმდებლობით. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, ზოგადი დებულებების ნაწილში ჩამოთვლილია ის ძირითადი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, რის მიხედვითაც შემუშავდა აღნიშნული დოკუმენტი. ვიზიტისას ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა დასაქმებულთა პირადი საქმეები. ყველა დასაქმებულ პირს წარმოდგენილი ჰქონდა ცნობები ნასამართლეობის შესახებ. ასევე შემოწმდა იმ პირთა პირადი საქმეები, რომლებიც დასაქმდნენ 202 წლის შემდგომ. აღნიშნულ პირებს წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც ნასამართლეობის, ისე უფლების ჩამორთმევისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** ვიზიტისას გადამოწმდა პედაგოგთა და სხვა დასაქმებულ პირთა პირადი საქმეები. სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების აღწერი დოკუმენტი მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას. ექიმის თანამდებობისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ არის დაზუსტებული ზემოთ მოხსენიებული ბრძანების შესაბამისად. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად,სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“ სკოლის მოქმედ ექიმს ჰქონდა პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი სტომატოლოგის კვალიფიკაციით, შესაბამისად **დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.** დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 251 მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესრულების მტკიცებულება-2023 წლის 05 ოქტომბრის #2-35 ბრძანება ექთნის დანიშვნის შესახებ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლაში. როგორც შესაბამისობის გეგმიდან ჩანს, გამოცხადდა ექიმის ვაკანსია ,ექიმის ვაკანტურ ადგილზე არ გამოგვეხმაურა არცერთი აპლიკანტი.შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმართვის საფუძველზე მიღებული ნებართვის გათვალისწინებით გამოცხადდა ვაკანსია ექთნის პოზიციაზე. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

**5.** სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო. გადაწყვეტილებების მიღება სკოლაში ხდება გუნდთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში იქმნება კომისია სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილების მიღების

მიზნით. ვიზიტის დროსაც, დადასტურდა, რომ მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებით ფუნქციონირებს დაწესებულება. ასევე შექმნილია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, დაწესებულება ახდენს მოვალეობების დელეგირებას და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ინტერვიურებისას დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში დანერგილია თანამშრომლობითი გარემო და ყველა პირი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებეულებების დოკუმენტითაც გაცხადებულია, რომ სკოლის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება თანამშრომლობაა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლი ეხება დასაქმებულის წახალისების ფორმებს, სკოლა სხვადასხვა ფორმას იყენებს თანამშრომელთა წახალისების მიზნით. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. რასაც ერთგვარად წახალისების ეფექტი აქვს. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვდასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. სკოლის წარმოამდგენლებმა აღნიშნეს, რომ მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ პედაგოგებს კარიერულ ზრდასა და განვითარებაში, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით კი ხდება სამუშაო შეხვედრების ჩატარება, კოლეგის გაკვეთილზე დასწრება და კათედრებზე გამოცდილების გაზიარება. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები კი ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების აღმწერი დოკუმენტი;
- ✓ პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პირადი საქმეები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2 პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთა შეფასებას და პროფესიული ღონისძიებების დაგეგმვას პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით . სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა ( მონიტორინგი: დირექციისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის

მიერ, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. ხარისხის ჯგუფის წევრები ახორციელებენ მასწავლებელთა შიდა შეფასებას, კერძოდ, მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციით შესაბამისობის დადგენას მის მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და აძლევს განმავითარებელ შეფასებას ჩატარებული გაკვეთილის ირგვლივ. შესაბამისად, შეფასების საფუძველზე ხდება თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მერვე და მეცხრე მუხლი არეგულირებს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მექანიზმებს. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებას სკოლის ბაზაზე, ასევე აფინანსებს და გამოყოფს თანხას, სთავაზობს ანაზღაურებად შვებულებას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. იქედან გამომდინარე, რომ დადგენილი წესის შესაბამისად ჯერ არ განხორციელებულა პერსონალის შეფასება, დაწესებულებას ჯერ არ აქვს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმა. თუმცა დაწესებულებას აქვს წინარე პრაქტიკა და შესაბამისად მზაობაც აღნიშნულის განსახორციელებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** მასწავლებლის საქმიანობა ითვალისწინებს პროფესიულ ზრდას. სკოლაში დასაქმებული პედაგოგები ჩართულნი არიან კარიერული დაგეგმვის და წინსვლის სქემაში, პედაგოგთა პირადი საქმეებით დასტურდება, რომ მასწავლებლებმა იცვალეს სტატუსი და სკოლა ხელს უწყობდა ამ პროცესს. პედაგოგთა კარიერული განვითარება რეგულირდება „მასწავლებლის: პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებით. სკოლას არ შემუშავებული რაიმე ტიპის მექანიზმი, რითაც მოხდებოდა სასკოლო დონეზე ამ პროცესის დარეგულირება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლას შექმნილი აქვს მექანიზმი. პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გათვალისწინებულია ახალი თანაშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები. გამოკვეთილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციასთან დაკავშირებული სამი ეტაპი, ასევე ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია შესაბამისი კათედრის თავმჯდომარე. ასევე

სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში მოქმედებდა მაძიებლის პროგრამა. მაძიებელს ხელმძღვანელობდა და კონსულტირებას უწევდა ტუტორი. შედეგად მაძიებელმა მასწავლებელმა მიიღო უფროსი მასწავლებლის სტატუსი. კათედრის წევრები მუდმივად ეხმარებიან ახალ წევრს სამუშაო პროცესში და ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს. თუმცა დაწესებულება ხელს უწყობს სხვა პერსონალის ინტეგრაციის პროცესსაც, რაც დასტურდება ასევე თანამშრომლებთან გასაუბრებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** . სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლაში მასწავლებლები წახალისებული არიან განვითარებისათვის. დირექცია ხელს უწყობს და მხარს უჭერს პედაგოგებს გაიარონ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგები, დროულად აწვდის ინფორმაციას თანამშრომლებს დაგეგმილი კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების შესახებ. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა სერთიფიკატები, რითაც დასტურდება თანაშრომელთა მიერ კვალიფიკაციის ამაღლება. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის ჯგუფის დებულების მეშვიდე მუხლის თანახმად ხარისხის ჯგუფის ერთ-ერთი მოვალეობა პროფესიული განვითარების მიზნით რეკომენდაციების გაცემაა- რა ტიპის ტრენინგი და გადამზადება გაიაროს პედაგოგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ✓ პერსონალის  მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.3 პროცესის მართვა**

**3.3.1 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა საგანამანათლებლო საქმიანობას წარმართავს თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით. სკოლის თითოეული რგოლი ურთიერთდაკავშირებულად ფუნქციონირებს სკოლის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, რომელთა საქმიანობა საერთო ჯამში ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვას. სკოლა, როგორც ორგანიზაცია და ინსტიტუაცია, თავის საქმიანობას წარმართავს პროცესული მიდგომით. დაწესებულებას აქვს დაგეგმვის და მონიტორინგის პრაქტიკა. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომუნიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის

ერთი მთლიანი პროცესი. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც დაწესებულება ახდენს პროცესების სისტემურ შეფასებას, არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენას, ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების დაგეგმვას, განხორციელებას, განხორციელებული ცვლილებების შედეგებზე დაკვირვებას, კვლავ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ნაბიჯების გადადმას და ამ პროცესში ეყრდნობა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს:

- PLAN (დაგეგმე) - მიზნისა და მიზნის მისაღწევი პროცესების განსაზღვრას;
- DO (განახორციელე) - პროცესის (ღონისძიებების) განხორციელებას;
- CHECK (შეამოწმე) - მიმდინარე პროცესსა და მიღებულ შედეგებზე მონიტორინგს, მიღწეული შედეგების შესაბამისობას დასახულ მიზანთან;
- ACT (იმოქმედე/განავითარე) - შესრულების პროცესის მუდმივ სრულყოფას.

აღნიშნულ დოკუმენტში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესები.სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მართვისას იყენებს სკოლის მართვის პროცესულ მიდგომას, ხელს უწყობს დაწესებულების ყველა რგოლის ერთი მიზნისკენ მიმართვას და მონიტორინგსაც უწევდა შესრულებულ სამუშაოებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლა საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით რეგულირდება საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული პროცესები და თითოეული ტიპის პროცესზე პასუხისმგებელი პირები. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვის მექანიზმები. **სკოლის მმართველობითი პროცესებია:** სტრატეგიული დაგეგმვა; წლიური დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა; **სკოლის ძირითადი პროცესებია:** კურიკულუმის განვითარება; სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა; **სკოლის დამხმარე პროცესებია:** განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; მოსწავლის სერვისების განხორციელება; საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; ფინანსური რესურსებს მართვა;ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა;

უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; საზოგადოებასთან ურთიერთობა; საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კარიერული განვითარება; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები", რომელიც მოიცავს საჩივრის განხილვის პრინციპებს, საჩივრის წარდგენის წესს, განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგად წესსა და ვადებს, დისციპლინარული სახდელის, მოსწავლის ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრებას. აღნიშნული წესები შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონით ზოგადი განათლების შესახებ, სხვა კანონქვემდებარე აქტებით და სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს #2-40 ბრძანებით. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული შინაგანაწესი, არსებობს შრომითი ხელშეკრულება, რომლის დარღვევის შემთხვევაში დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელია სასამართლოში გასაჩივრება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ ხელშეკრულებები;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, , მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი;
- ✓ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების პროცედურები.

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში ვიზიტისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულება ითვალისწინებს სხვადახვა მხარის უკუკავშირს და შესაბამისად მონიტორინგის პროცესშიც აქვს მზაობა დაწესებულებას მიიღოს და გაითვალისწინოს სხვადასხვა რგოლის მიერ გაცემული რეკომენდაციები თუ შეხედულებები, რაც დასტურდება კითხვარებითაც, რომელიც შეავსეს მოსწავლეებმა და მშობლებმა. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ინფორმაციის გავრცელების ფორმები სხვადასხვა ჯგუფებში, საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღების ფორმები, ასევე მიღებული უკუკავშირის ანალიზი და შემდგომში გათვალისწინება. უკუკავშირის მიღება გათვალისწინებულია ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც. უკუკავშირის მიღება ხდება: სკოლის ვებგვერდით; ელექტრონული ფოსტით; სოციალური მედიის; სასკოლო სივრცეში განთავსებული საინფორმაციო დაფების; საჯარო ღონისძიებების დროს - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლაში ფუქციონირებს მრჩეველთა საბჭო, სამეურვეო საბჭო, დისციპლინარული კომიტეტი, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური საბჭო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებად ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო ცხოვრებაში და კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულები არიან მშობლები. სამეურვეო საბჭოს რამდენიმე ოქმი მაგალითად ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, ასევე სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გასაჩივრების წესი. წარმოდგენილი ოქმებით დასტურდება მშობელთა აქტიური ჩართულობა სხვადასხვა პროცესში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს დისციპლინარული კომიტეტი, რომლის წევრები არიან როგორც პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე მშობლები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ადამიანის უსაფრთხოების დაცვა სკოლის ტერიტორიაზე. ამიტომ სკოლის მთლიანი ინფრასტრუქტურა, ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი, ყველა დოკუმენტი ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. ეს ყოველივე კი განაპირობებს სკოლაში მამოტივირებელი გარემოს შექმნას, რაც საბოლოო ჯამში აისახება სასკოლო კულტურასა და სკოლის წარმატებაზე. უსაფრთხოების დაცვის მიზნით სკოლაში მოქმედებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის შესახებ. სკოლას აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან. სკოლაში მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. ფიზიკური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგი დაცვის მექანიზმების გასაუმჯობესებლად სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას ჰყავს ექიმი, ექსპერტებმა ვიზიტისას მიიჩნიეს, რომ სკოლის ექიმის კვალიფიკაცია თანხვედრაში არ მოდიოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივ №41/ნ/01-23/ნ ბრძანებასთან. სკოლის ექიმს აქვს პროფესიული განათლება სტომატოლოგიის მიმართულებით. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. დაწესებულებას აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც არ ჰქონდა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული. ასევე სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან მიწერილობა. დაწესებულებამ წამოადგინა შპს სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის

მომზადებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევა., რომლის გვ.50-ზე აღნიშნულია, რომ „შენობას უკანა მხრიდან „4“ ღერძის მიმდებარედ (პარალელურად) განთავსებული აქვს ციცაბო ფერდი, რომლისგანაც დამცავ კონსტრუქციას (ჯებირი) წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის ბურჯებზე განთავსებული ანაკრები რკინაბეტონის ელემენტები. აღნიშნული ელემეტები ხასიათდება სხვადასხვა დაზიანებებით, რაც საშიშროებას უქმნის სკოლის შენობის მზიდ კონსტრუქციებს.“ როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა ინტერვიურებისას შენობას ჩაუტარდა სარეაბილიტიაციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, თუმცა არ არსებობს რეაბილიტაციის შემდგომი დასკვნა შენობის ტექნიკური მდგომარეობის და მისი ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი. სოფელ მარელისში მდებარე დაწყებითი კლასების კორპუსში არ არის სამედივინო ოთახი, არ არის ექთანი. ასევე არ არსებობს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. **დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“,რადგან და დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები-სკოლას არ ჰქონდა:**

**➢ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;**

**➢ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ ძირითად და სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში;**

**➢ შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა ძირითად და სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში(შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ);**

**➢ არ ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალი ძირითად სასწავლო კორპუსშისაქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად. არ აქვს სამედიცინო ოთახი სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში და არ ჰყავს ექთანი.**

*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც ექნება აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი და შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენციის მიზნით უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებების დანერგვასა და მართვას.*

დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის მტკიცებულებები. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა შესრულების მტკიცებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 26 ოქტომბრის #3140848 კორესპოდენცია სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შეთანხმების შესახებ. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #007110223 დასკვნა. ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი დასკვნა. შეფასება მოიცავს როგორც ძირითად სასწავლო კორპუსს, ასევე სოფელ მარელისში მდებარე დაწყებითი კლასების სასწავლო კორპუსს. დასკვნაში აღნიშნულია, რომ ორივე შენობის შემთხვევაში შესაძლებელია შენობის შემდგომი ექსპლუატაცია. თუმცა ძირითად სასწავლო კორპუსს ესაჭიროება „სეისმური მდგრადობის ამაღლების მიზნით დამატებითი განივი კედლების ან/და კარკასის მოწყობა რაც შეიძლება დროულად.“-აღნიშნულია ექსპერტიზის დასკვნაში. რაც შეეხება ექიმის კვალიფიკაციას, დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება-2023 წლის 05 ოქტომბრის #2-35 ბრძანება ექთნის დანიშვნის შესახებ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლაში. როგორც შესაბამისობის გეგმიდან ჩანს, გამოცხადდა ექიმის ვაკანსია ,ექიმის ვაკანტურ ადგილზე არ გამოეხმაურა არცერთი აპლიკანტი.შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მიმართვის საფუძველზე მიღებული ნებართვის გათვალისწინებით გამოცხადდა ვაკანსია ექთნის პოზიციაზე და აყვანილ იქნა ექთანი. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობებს-დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ(14.09.2023- 14.03.2024). ასევე წამოდგენილ იქნა სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი - სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს შორის 2023 წლის 13 ნოემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N74/11, რომლის თანახმადაც, მომსახურება განხორციელდება ორივე სასწავლო კორპუსზე. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით სამედიცინო კაბინეტის და შესაბამისი

კვალიფიკაციის ექთნის აყვანას დაწესებულება უზრუნველყოფს 15.11.2023-15.11.2024 პერიოდში. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.** ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს:

- შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა ორივე სასწავლო კორპუსში (14.09.2023-14.03.2024).
- სამედიცინო ოთახის მოწყობა სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში და ექთნის აყვანა (15.11.2023-15.11.2024).

*ექსპერტთა რჩევაა, ძირითად სასწავლო კორპუსთან მოეწყოს სეისმური მდგრადობის ამაღლების მიზნით დამატებითი განივი კედლები ან/და კარკასი სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისად.*

2.საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის ტერიტორიაზე აკრძალულია გარეშე პირების გადაადგილება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ დირექტორთან შეთანხმების საფუძველზე. სკოლის ტერიტორიაზე შემომსვლელს აკონტროლებს უფლებამოსილი პირი. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი. ძირითადი სასწავლო კორპუსის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია კამერებით. სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში არ არის კამერები, აქვე არ არის განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25¹ მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნული გეგმის თანახმად დაწესებულება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადებასა

და შენობის კამერებით აღჭურვას უზრუნველყოფს 15.11.2023-15.11.2024 პერიოდში. პერიოდში. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**
ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(15.11.2023-15.11.2024 ) უზრუნველყოს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა-გადამზადება და შენობის კამერებით აღჭურვა.

**3.** უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ მიზნით სკოლაში მოქმედებს ბავშვთა მიმართ ძალადობის შიდა ინსტრუქცია და გამოყოფილია ძალადობის იდენტიფიცირებაზე და რეფერალზე პასუხისმგებელი პირი. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას. არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას. მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას. მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევას. მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და არის სპეციალური მასწავლებელი. იმართება ბულინგის საწინააღმდეგო ღონისძიებები. სკოლა მუდმივად ცდილობს შემუშავებული ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები დარღვევების თავიდან ასაცილებლად. უპირველეს ყოვლისა, დამრიგებლები აცნობენ მოსწავლეებს თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, მოსწავლეები თავად ქმნიან ქცევის წესებს, რომლებიც შეესაბამება საყოველთაოდ დადგენილ ნორმებსა და სკოლის შინაგანაწესს. სკოლის დირექციის მიერ კონტროლდება რამდენადაა დაცული მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მშობლებს, სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ რგოლს შორის თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული კომუნიკაცია. დარღვევების აღმოჩენისას, სკოლა სათანადოდ რეაგირებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. უპირველეს ყოვლისა, ცდილობს პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენას და ისეთი ინტერვენციების განხორციელებას, რომლებიც დაეხმარება დაზარალებულ მხარეს ფსიქო-ემოციური ბალანსის აღდგენაში და დაპირისპირებულ მხარეებს კონსესუსის მიღწევაში. საფეხურების მიხედვით აღნიშნულ თემებზე კლასის ხელმძღვანელების მიერ ტარდება „კლასის საათები“, რომლებზეც უსაფრთხო გარემოს, ყოველდღიური ქცევის წესების, თანატოლებთან ურთიერთობის თემებზე მსჯელობენ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია**.

**4**. სკოლაში არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, მოწესრიგებული და გამართულია სველი წერტილები, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, ყოველდღიურად სველი წესით ლაგდება საკლასო ოთახები, დერეფნები, გამოიყენება

სადეზინფექციო საშუალებები სველი წერტილების დასამუშავებლად, თხევად საპონსა და თანამედროვე ხელსაშრობს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, სკოლას ემსახურება დამლაგებლები, სკოლაში არის სუფთა და უსაფრთხო გარემო. მოწესრიგებული და დასუფთავებულია სკოლის ეზო და მიდამო. სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყალით, საპონით და ქაღალდით. სკოლის ბიუჯეტით და წლიური შესრულებებიდან ჩანს, რომ ამ მიმართულებით სკოლა ხარჯავს ფინანსებს და აქვთ ჰიგიენური საშუალებების მარაგები. ვიზიტის დროს ვიზუალური დათვალიერებისას შენობა იყო მოწესრიგებული და დაცული იყო ჰიგიენის ნორმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.** დაწესებულების წარმოამდგენლები აცნობიერებენ პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობას. სკოლის სოციალურ ქსელში ფოტომასალა ქვეყნდება მშობელთა ნებართვების საფუძველზე. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მოსწავლეს და მშობელს მიეწოდება პირადად, კონფედენციალობის დაცვით. სკოლა ინფორმაციას გაცემს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პერსონალური მონაცემების დაფარვის შემდეგ. დაწესებულებაში ასევე მოქმედებს პერსონალური ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლაში დაცულია პერსონალის და მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია. ასევე სკოლაში არსებული სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება იყოს კონფედენციალური ან შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რის მიხედვითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხის მართვა დაწესებულებაში. მექანიზმი მოიცავს ინფორმაციის დამუშავების ფორმებს, მასზე ხელმისაწვდომობას კონკრეტული პირებისთვის უფლებამოსილების ფარგლებში, დამუშავებული ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. მარეგულირებელში საუბარია პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერზე. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს საშტატო ერთეულით განსაზღვრული შესაბამისი პოზიცია და არც სკოლის სტრუქტურაში გვხვდება. აღნიშნული პასუხისმგებლობა სკოლამ სასურველია ბრძანებით დააკისროს რომელიმე პირს, რომელიც საშტატო ერთეულით არის განსაზღვრული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

7. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი. ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის : დირექტორი , უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, დისციპლინარული საბჭოს თავმჯდომარე,

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. წელიწადში ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. დაწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს ოქმი, რომლითაც დასტურდება რომ სკოლა ამ მიმართულებით აწარმოებს შეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ შრომითი ხელშეკრულებები;
- ✓ ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი;
- ✓ პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- ✓ მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- ✓ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- ✓ ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

#### 3.5.1 სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. შენობა-ნაგებობა და ფართი სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ აქვს გადაცემული პირველადი სარგებლობის უფლებით, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. დაწესებულებას სახელმწიფოსგან გადაცემულია აქვს ორი ნაკვეთი საკადასტრო კოდით # 36.15.38.144 და #36.15.31.005. ძირითადი სასწავლო კორპუსის ეზოში დგას შენობა. პირველ სართულზე განთავსებულია ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია. შენობა არის 3 სართულიანი, განაშენიანების ფართი 1839 კვ.მ.. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. შენობა არის

გარემონტებული, ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. დაწესებულებას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია. სასკოლო ბუფეტი, სპორტდარბაზი და სააქტო დარბაზი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის ოთახი, არის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი. სკოლას აქვს მეორე სასწავლო კორპუსი სხვა მისამართზე, სადაც ამ ეტაპისთვის ფუნქციონირებს ერთი კლასი. შენობა მოწესრიგებულია, განაშენიანების ფართი 148 კვ.მ. აღჭურვილი არის შესაბამისი ინვენტარით, არის შიდა სველი წერტილები, რომელიც მოწესრიგებულია. შენობა თბება შეშით. დაწესებულებას მოთხოვნილი აქვს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა 100 მოსწავლე ორვიე სასწავლო ფართზე. სკოლაში სწავლობს 70-ზე მეტი მოსწავლე. ამ ეტაპზე სკოლას მფლობელობაში აქვს 150 ინდივიდუალური სკამი და მერხი. დაწესებულებას სასწავლო პროცესს წარმართავს ერთ ცვლაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის სკოლა უზრუნველყოფს მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას როგორც პერსონალისთვის, ისე მოსწავლეებისთვის. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები და პედაგოგები, რაც დასტურდება მკითხველის ბარათებითაც, რომელიც მოიცავს ინფორმაციას გაცემული წიგნების შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული საკითხი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკამყოფილებულია.**

3. სასკოლო საზოგადოება ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ეტლით მოსარგებლე მოსწავლეები. სკოლის შემოსასვლელში არის პანდუსი, რომლითაც საშუალება აქვს ეტლით მოსარგებლეს შევიდეს შენობაში. ამავდროულად სკოლაში არის ადაპტირებული საპირფარეშო და სველი წერტილი. დაწესებულების ძირითადი კორპუსი აღჭურვილია ლიფტით და ეტლით მოსარგებლეს შეუძლია მისით სარგებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის უზრუნველყოფილია შენობის სივრცეში თავისუფალი გადაადგილება. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ბიბლიოთეკით, ლაბორატორიებით და სპორტდარბაზით. სოფელ მარელისში მდებარე დაწყებითი კლასების

კორპუსი არის ერთსართულიანი შენობა, რომელსაც აქვს პანდუსი. ასევე უზრუნველყოფილია ადაპირებული საპირფარეშო. ექსპერტებმა ვიზიტისას დაათვალიერეს ორივე შენობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში არის სასიამოვნო გარემო. არის ბიბლიოთეკა, ღია და დახურული სპორტული მოედანი, ლამაზი ეზო. სკოლა გეგმავს და ახორციელებს სასწავლო პროექტებს. მოსწავლეებისთვის შექმნილია ყველა პირობა, რომ ჰქონდეთ სკოლაში ყოფნის სურვილი. ფუნქციონირებს ბუფეტი, არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ დადგენილი გრაფიკით. მოსწავლეებს გამოყოფილი აქვთ სივრცე კლუბებისა და პროექტებზე მუშაობისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაწესებულება უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით, ასევე დამატებითი მასალებით: რუკებით, თვალსაჩინოებებით. სკოლას აქვს ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის ლაბორატორიები, შიდა სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი. სკოლის სპორტდარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კერძოდ, ფრენბურთის ბადე და კალათბურთის ფარები. სკოლა გეგმავს ყველა სასკოლო ოთახის ეტაპობრივად აღჭურვას პროექტორით. საბუნებისმეტყველო საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. მოსწავლეებს ქიმიის ბიოლოგიის, ფიზიკის გაკვეთილები უტარდებათ ლაბორატორიაში; სადაც განთავსებულია სხვადასხვა რესურსი, რომლის დახმარებითაც მოსწავლეებს შეუძლიათ პრაქტიკული მუშაობა, კვლევის ჩატარება, მისი შედეგის აღრიცხვა, გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა. ლაბორატორია ისევე როგორც სკოლა ახალგარემონტებულია და ბოლომდე არაა დასრულებული სასწავლო მერხებზე ონკანების მონტაჟი, გამწოვი და სავენტილაციო სისტემა ჭერში დამონტაჟებული მილების სახითაა და შეფუთულია, აქვთ ქიმიური რეაქტივები, შეუძლიათ უსაფრთხო რეაქციების ჩატარება, ლაბორატორიას აქვს სველი წერტილი-ონკანი და შესაძლებელია ნარჩენების უტილიზაცია. ოთახში დგას დახურული და მინის კარებიანი კარადები, რომელთაც გააჩნიათ საკეტი. მოსწავლე მასწავლებლის ნებართვის გარეშე ვერ შესძლებს რეაქტივებზე წვდომას. მოსწავლის მერხები და იატაკი არის არააალებადი, მჟავა-ტუტე მედეგი მასალით დაფარული. ოთახი ნათდება დიდი ფანჯრებით, აქვს ელექტრო მომარაგება, რამდენიმე დენის წყარო. ლაბორატორიას გააჩნია დამხმარე სათავსო, რომელიც აკმაყოფილებს ნორმებს, არის რკინის ცეცხლგამძლე კარადა, სადაც ინახება მჟავა და ტუტე რეაქტივები, ასევე წარმოადგინეს სასწავლო მასალები და უამრავი სხვადასხვა მოსწავლის ნაშრომები პროდუქტების სახით, რომლებიც კომპლექსური დავალებების, პროექტების ფარგლებში განხორციელდა. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც შედგება წიგნადი ფონდისაგან. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა

საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, დამხმარე სახელმძღვანელოები, და ა.შ. სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში განთავსებულია მხოლოდ ერთი კლასი დაწყებით საფეხურზე. სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი, საჭიროებისამებრ ხდება მოსწავლის გადაყვანა ძირითად სასწავლო კორპუსში. აღნიშნული არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, ხოლო მანძილი შენობებს შორის მხოლოდ ერთი კილომეტრია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. . სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული - 9 კომპიუტერი, მათ შორის 2 ლეფთოფი, 3 მასწავლებლის ბუკი, პროექტორები სკოლაში არსებული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გამოყენებით წარმატებით ხორციელდება სწავლა/სწავლების პროცესი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერების გამოყენებით წარიმართება სასწავლო პროცესი და კოლეგების სამუშაო შეხვედრები ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკაში. კომპიუტერთან მუშაობა შეუძლია ნებისმიერ პირს, ვისაც აქვს შესაბამისი უნარ-ჩვევები. დაშვებულია: ტექსტების შეყვანა და რედაქტირება; ინტერნეტით მასალების მოძიება და გადმოწერა; დისკების გამოყენება დასაშვებია უფლებამოსილ პირთან შეთანხმებით; ელექტრონული ფოსტით. სოფელ მარელისში მდებარე სასწავლო კორპუსში მასწავლებლებს აქვთ ბუქი, ასევე მოსწავლეებსაც. შენობაში არ არის უზრუნველყოფილი ინტერნეტი. თუმცა როგორც პედაგოგებმა აღნიშნეს საჭიროების შემთხვევაში იყენებენ მობილურ ინტერნეტს ან მოსწავლეები მიჰყავთ ძირითად სასწავლო კორპუსში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. დაწესებულებას შექმნილი აქვს დოკუმენტი, რომლითაც განკარგავენ არსებულ ტექნიკას. შექმნილია სამუშაო სივრცეები პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის. მატერიალური რესურსის განკარგვის წესით რეგულირდება ტექნიკის გამოყენება. სკოლას ასევე შექმნილი აქვს ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა. სკოლაში გამოყოფილია პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს გრაფიკის შესაბამისად ინფრასტრუქტურით სარგებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- ✓ ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა;

- ✓ ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### 3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების წესი. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ეხება ხელშეკრულებას. მოსწავლეთა პირადი საქმეები მატერიალურად

ივსება პირველ კლასში. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. საქმიაწარმოების წესი დამტკიცებულია ს.ს.ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის დირექტორის 2012 წლის _4 იანვარი № 2-15 ბრძანებით,რაც შესაბამისობაში არ არის მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ . ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის სისტემაში შემავალ ორგანოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 17 აგვისტოს N951 ბრძანებასთან. საქმისწარმოების წესში არ არის გათვალისწინებული, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს E-Flow-ს საქმისწარმოების ერთიანი სისტემა. **დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ შეესაბამება“.**

დაწესებულებამ 2023 წლის 16 ნოემბრის # 1558128 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 25[1] მუხლის 6 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესრულების მტკიცებულება-საქმისწარმოების განახლებული წესი. აღნიშნული წესი მოცავს ინფორმაციას ელექტრონული საქმისწარმოების წესის და პირობების შესახებ.**ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, დოკუმენტაციის წარმოებისთვის აქვს E-flow და E-school ის ბაზა რომელთა მოხმარებაც შეუძლია სკოლის ყველა თანამშრომელს პირადი მომხმარებლის და პაროლის საშუალებით. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი (onlineschool.emis.ge) . შემოსული და გასული კორესპოდენციის, ასევე ბრძანებების ატვირთვა ხდება eflow-ში. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტისას ადგილზე გადამოწმდა სკოლის eschool-ის ბაზა. სკოლას სრულყოფილად აქვს ყველა საჭირო მონაცემი ასახული. ყველა საჭირო მონაცემი სწორია და შეესაბამება არსებულ რეალობას. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.დაწესებულებაში ვიზიტისას გადამოწმდა eflow-ში რამდენიმე შემოსული კორესპოდენცია, რომელზეც დაწესებულებამ წარადგინა პასუხი. თითოეულ შემთხვევაში სკოლას დროულად ჰქონდა მიწოდებული ინფორმაცია რესურს ცენტრისთვის. ასევე

ვიზიტისას წარმოადგინეს ფინანსური ანგარიგების ამსახველი დოკუმენტების წარდგენის დამადასტურებელი წერილები, სამეურვეო საბჭოსთან წარდგენილი ანგარიშები. საქმისმწარმოებელმა აღნიშნა, რომ შემოსულ განცხადებებზე , როცა რაიმე ტიპის ინფორმაციის გამოთხოვას ეხება, უკუკავშირი ხდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓საქმისწარმოების წესი;

✓შემოსული კორესპოდენციები;

✓ბაზების ვიზუალური დათვალიერებით;

✓შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

✓ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებები.

### 3.6.3 სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი. ასევე იყენებს სოციალურ ქსელს Facebook-ის გვერდს. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებული თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ ვრცელდება ამ გვერდების საშუალებით. გარდა ამისა, შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სადაც მოსწავლეთა მშობლებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია კლასის დამრიგებლების მიერ. ვიზიტისას სკოლაახორციელებდა საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულების სოციალურ გვერდს მართავს სკოლის დირექტორი. სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. ხდება გადამოწმება სკოლის დირექციის მიერ და ვრცელდება მხოლოდ მას შემდეგ. ან ვრცელდება სამინისტროს ოფიციალური გვერდიდან აღებული ინფორმაცია. სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი,სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. დაწესებულება მუდმივად იღებს უკუკავშირს და აქვს მზაობა გაითვალისწინოს თემის და სასკოლო საზოგადოების აზრი. სკოლა სოციალური ქსელის საშუალებით აზიარებს საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. იღებს უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისგან. ექსპერტთა შეფასებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, შესაბამისად სკოლის ვებგვერდი არის ერთენოვანი, რადგან არ აქვთ უცხო ენაზე გვერდის ქონის საჭიროება. სკოლას ვიზიტისას ჰქონდა ქართულენოვანი ვებგვერდი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის ვებგვერდის სტრუქტურა არის ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს განათავსებს საანგარიშო პერიოდის დასრულებისთანავე. ასევე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის ბიუჯეტები თავისი შესრულებებით, რითაც დასტურდება რომ სკოლას აქვს საკმარისი შემოსავლები განახორციელოს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები. სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო რესურსებით, ჰიგიენური საშუალებებით, იხდის გათბობის თანხებს, თუმცა ყოველწლიურად რჩება ნაშთის სახით გარკვეული თანხმა. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია(ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა მიღება– ჩაბარების აქტი ) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე , რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. გარდა ამისა, სკოლა მონიტორინგს უწევს ხარჯებს კვატალურად. სკოლის ბიუჯეტი ყველასთვის ცნობილია. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓ სკოლის ბიუჯეტი თავისი შესრულებებით;
✓ სამეურვე საბჭოს ოქმები;
✓ დირექტორის ანგარიში.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4. მოსწავლეთა მხარდაჭერა**

**4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

**4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია**

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლას შემუშავებული მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 20 ივლისის #2-53 ბრძანებით. აღნიშნულით რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, სტატუსის შეჩერება. სკოლას შინაგანაწესით შემუშავებული აქვს აგრეთვე მოსწავლეთა წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის პრევენციის მექანიზმები, აღნიშნული მექანიზმების ფარგლებში სკოლის დირექციის წარმომადგენელი ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, უზრუნველყონ მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ან/და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით. მოსწავლეთა უფლებები და წესები, რომლის გაცნობაც ხორციელდება სკოლის მიერ მოსწავლეებისათვის თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. გარდა ამისა, სკოლას აქვს ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება მოსწავლის კანონიერ წარმოადგენელსა და დაწესებულებას შორის. შესაბამისად მოსწავლის უფლებების დაცვის გარანტად შეიძლება ჩაითვალოს აღნიშნული ხელშეკრულება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ასევე ხელშეკრულებას ეცნობა როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ისე სკოლის პერსონალი. აღნიშნული რეგულაციები არის გამჭირვალე, არ არის ორაზროვანი და არ იძლევა ინტერპრეტირების შესაძლებლობას. შინაგანაწესი გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლა მოსწავლეებისთვის აწყობს საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, რაც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. სკოლის შინაგანაწესს პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ინფორმაციას როგორც მოსწავლის ვალდებულებების, ისე უფლებების შესახებ. ასევე მოიცავს ინფორმაციას მხარეთა შესახებ, ხელშეკრულების ნომერს, გაფორმების თარიღსა და ადგილს, ხელშეკრულების საგანს. წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ ხელშეკრულებები;

- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

### 4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საკითხის რეგულირებისას ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. დაწესებულებას დამტკიცებული აქვს შესაბამისი წესი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლის ჩარიცხვასთან და სტატუსის ცვლილებასთან დაკვშირებული საკითხები. აღნიშნული წესი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან ზოგადი განათლების შესახებ კანონთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებასთან, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანებასთან. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება მოქმედებს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად, ასევე სკოლის მიერ დადგენილი წესის თანახმად. ვიზიტისას შესწავლილ იქნა სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები, ასევე ჩატარდა გასაუბრება საქმისმწარმოებელთან. დაწესებულებას მოსწავლის ჩარიცხვას და სხვა პროცედურებს ახორციელებს ზედმიწევნით ზუსტად. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** დაწესებულების პირველ სართულზე განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლის მიერ შეთავაზებული მომსახურების სახეების შესახებ. თუმცა ამ ეტაპზე სკოლა არ ეწევა ფასიან საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე თვალსაჩიონდ არის გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ქცევას და სკოლის პოლიტიკას მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქცევის შემთხვევაში. გარდა ამისა, კლასის კრებებზე ხდება მშობლებისთვის და მოსწავლეებისთვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. დაწესებულება ინფორმაციის გაზიარების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელს და სკოლის ოფიციალურ ვებგვერდს. ექსპერტთა მიერ, გადამოწმდა სკოლის ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქ-გვერდი, მასზე განთავსებული ინფორმაცია იყო უტყუარი, შესაბამისობაში მოდიოდა კანონმდებლობასთან და არ შეიცავდა რაიმე ტიპის დისკრიმინაციას. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას განაცხადეს, რომ ყოველთვის სიფრთხილით ეკიდებიან ინფორმაციის გაზიარებას, ხდება დაზუსტება და გადამოწმება და მხოლოდ მას შემდეგ აწვდიან ინფორმაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ✓ მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 აგვისტოს #2-43 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის მოსწავლეთა ტრანზიციის მექანიზმი, რომლითაც რეგულირდება მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაცია და სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. ამასთან, აღნიშული წესი შესაძლოა გამოყენებული იქნას იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გასამარტივებლად, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს საფეხურიდან საფეხურზე გადასვლას სირთულეები და სსსმ მოსწავლეთა გარემოსთან ადაპტირება. სკოლა ყველა მშობელს სასწავლო წლის დაწყებამდე აცნობს სპეციალურ ფორმას, რომლითაც მშობელი სკოლას მიაწოდებს ინფორმაციას ბავშვის ჯანმრთელობის, მდგომარეობის თუ სამედიცინო დიაგნოზის შესახებ, ასევე სპეციფიკური საჭიროებების შესახებ, რაც სწავლებას და ბავშვის საგაკვეთილო პროცესში ჩართვას უკავშირდება. მეორე მხრივ, სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას იმ სერვისების შესახებ, რასაც სკოლა ბავშვებს და მის მშობლებს სთავაზობს. სკოლის დირექცია ახორციელებს მონიტორინგს ტრანზიციის პროცესზე და ახდენს მშობელთა ინფორმირებას იმ საკითხებზე, რომ მათ იზრუნონ ბავშვის წინასასკოლო უნარებზე და სასკოლო ადაპტაციაზე. ხშირად გაასეირნოს ბავშვი სკოლის ტერიტორიაზე, გააცნოს მომავალი მასწავლებლები, თუ მშობელმა წინასწარ იცის ვინ იქნება ბავშვის თანაკლასელი, ხელი შეუწყოს გაცნობას და დამეგობრებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, განხორციელებული ღონისძიებები, თუ პროექტები მიზნად ისახავს ხელი შუწყოს მოსწავლეებს იგრძნონ თავი სასკოლო საზოგადოების წევრებად, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული და ეფექტური მექანიზმი მოსწავლეთა ადაპტაციისათვის არის სასკოლო აქტივობებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში მათი ჩართვა. სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის ხელმძღვანელი მოსწავლეებს და მათ მშობლებს აცნობს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადამრიგებლო პროგრამას, რომელშიც მთელი წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობებია გაწერილი. მიღებული უკუკავშირის ან დამდგარი საჭიროების შემთხვევაში შეიძლება გეგმამ მოდიფიკაცია განიცადოს. თუ მოსწავლე სკოლაში მობილობით გადმოდის მასთან და მის

მშობელთან ხდება კლასის ხელმძღვანელის ან დირექტორის შეხვედრა. მას აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, ხელშეკრულების პირობებს და სასკოლო კულტურით გათვალისწინებულ ტრადიციებს. მოსწავლეს დამრიგებელი აწვდის ინფორმაციას სასკოლო კლუბების, პროექტების შესახებ, რათა მან თავისი სურვილის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება რომელში ჩაერთვება. თანაკლასელებთან ადაპტაციის პროცესი მიმდინარეობს დამრიგებლის მეთვალყურეობით და საჭიროების შემთხვევაში იგი ახდენს ინტერვენციას. ეს შეიძლება იყოს ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეებთან, სადამრიგებლო საათის ფარგლებში შეხვედრები ან საკლასო პროექტი, რომელშიც ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები მათი საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თითოეული მოსწავლის აკადამიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. საჭიროების შემთხვევაში ხდება საკონსულტაციო საათის ჩანიშვნა. სკოლას შემუშავებული აქვს რემედეიაციის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 აგვისტოს #2-43 ბრძანებით. სკოლა საჭიროების შემთხვევაში ახდენს სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას, ან მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებისთვის სხვადსხვა ტიპის მხარდაჭერას უწევენ მყისიერად ზეპირი მოთხოვნის საფუძველზე. ზოგიერთი სახის მხარდაჭერა ხორციელდება მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის წერილობითი საფუძველზე. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ იქნა მშობლის განცხადება ცნობის გამოთხოვის შესახებ, რომლის საფუძველზე დაწესებულებამ უმოკლეს პერიოდში გასცა ცნობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ხელს უწყობს არაფორმალური განათლებას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს კლუბები, რომელსაც უძღვებიან შესაბამის ან მომიჯნავე საგნების პედაგოგები. მოსწავლეთა თვითმმართველობა თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან სკოლაში კლუბებს, რომელთა ორგანიზებით იმართება სხვადასხვა აქტივობები და იქმნება პროექტები. მაგალითად შიდა სასკოლო სპორტული ჩემპიონატები კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში. ტარდება ინტელექტუალური თამაშები სკოლის მასშტაბით ,,ტვინების ბრძოლა“, „რა სად როდის“ სასკოლო და მუნიციპალური თამაშები, ასევე ხორციელდება საკლასო თუ სასკოლო პროექტები. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები: ეკო კლუბი „დავიცვათ დედამიწის სისუფთავე“ პროგრამის ფარგლებში-„ჩვენი მწვანე სკოლა“. USAID სამოქალაქო განათლების კლუბი, unisef ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბი, USAID გენდერული თანასწორობის პროგრამის ფარგლებში შექმნილი კლუბი, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში მკითხველთა კლუბი „ასფურცელა“. კლუბებში გაწევრიანება ნებაყოფლობითია, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სხვადსხვა არაფორმალურ აქტივობებში. სკოლაში აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა თვითმმართველობა ახორციელებს სკოლის პედაგოგებთან სხვადსხვა აქტივობებს თემთან. სკოლაში აქტიური კლუბები შექმნილია დირექტორის ბრძანებით, აქვს კლუბის მუშაობის წესდება შემუშავებული, სამუშაო გეგმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სხვადასხვა აქტივობებთან დაკავშირებით მუდმივად ხდება მოსწავლეთა ზეპირი გამოკითხვა, რომლის საფუძველზეც ხდება სამომავლოდ ცვლილებების განხორციელება და მომსახურების დახვეწა. დაწესებულება სოციალური ქსელის საშუალებით მუდმივად ათავსებს ინფორმაციას სკოლაში მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, იღებენ მშობლებისა და მოსწავლეებისგან უკუკავშირს და ყოფილა შემთხვევები, როცა დაწესებულებას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაუხვეწავს საქმიანობა და ცვლილება შეუტანია პროცესში. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის მექანიზმს, რომელიც შემდგომში გამოიყენება საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე მოხდა საქმიანობის შეფასება და სკოლამ შეიმუშავა კითხვარები მშობლებისა მოსწავლეებისთვის. სკოლამ შემდგომი დაგეგმვის პროცესში გამოიყენა უკუკავშირის შედეგად მიღებული შეფასება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ მოსწავლეთა ტრანზაციის მექანიზმი;
- ✓ რემედიაციის მექანიზმი;
- ✓ ფოტომასალა;
- ✓ პროექტის გეგმები.

### 4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება სკოლაში ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის. აღნიშნული გამოიხატება დამრიგებლების სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილი თემატიკით. კლასის საათების ფარგლებში კარიერული დაგეგმვის მიმართულებით შეხვედრებისა და საუბრების ჩატარება. სკოლას მემორანდუმი აქვს გაფორმებული ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები სასკოლო სივრცეში, რომელიც ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენაში და სწორი პროფესიის არჩევაში. მოსწავლეები ხვდებიან სკოლის წარმატებულ კურსდამთავრებულებს. მიმდინარე წელს მოეწყო მეთორმეტე კლასელთა შეხვედრა მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სამსახურის უფროსთან, რომელიც სკოლის კურსდამთავრებულია. ასევე მუნიციპალიტეტის მუზეუმში მოეწყო შეხვედრა ტიხრული მინანქრის მეცნიერთან; მნიშვნელოვანი იყო სკოლის უფროსკლასელთა შეხვედრა სკოლის ბაზაზე პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლის წარმომადგენლებთან. აღნიშნული შეხვედრები და კომუნიკაცია ხელს უწყობს მოსწავლეებში პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. დაწესებულება კლასის დამრიგებლების მეშვეობით მუდმივად აწვდის კარიერული დაგეგმვის შესაძლებლობების შესახებ როგორც მშობლებს მშობლეთა კრებებზე, ასევე მოსწავლეებსაც მიეწოდებათ ინფორმაცია სადამრიგებლო საათის და ინდივიდუალური შეხვედრებისას. ასევე სკოლა თავად არის ორგანიზატორი სხვადასხვა უმაღლეს თუ პროფესიულ

საგანმანათლებლო დაწესებულებაში წაიყვანოს მოსწავლეები ღია კარის დღეებზე ან წარმომადგენლები მოიწვიონ ადგილზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. რადგან სკოლაში აიტ სპეციალობების შესწავლის მხრივ, იყო მოსწავლეთა დაინტერესება, რაც გამოჩნდა მიღებულ უკუკავშირში სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება მომავალში დაგეგმოს მასტერკლასები მოსწავლეთათვის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტის ჩართულობით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ;
- ✓ ფოტომასალა.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა ,ჰყავს შიდა მონიტორინგის ჯგუფი და ხდება ინკლუზიური განათლების ხარისხის შეფასება. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინტერვენციის გეგმა . სპეციალური მასწავლებელი მუშაობდა როგორც საგნის მასწავლებელთან ასევე მშობელთან მოსწავლის სწავლა სწავლების პროცესის გამარტივების მიზნით . სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული გეგმა , სადაც თითოეული მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლის ჩართულობაზე, განვითარებასა და დასახული გეგმების დაძლევაზე . დაწესებულებას შემუშავებული აქვს სსსმ პირთათვის

საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია. მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციაში აღწერილია სსსმ მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო სივრცეში, მათი მხარდაჭერა, დამხმარე პროცესები და ხელისშემშლელი მოსალოდნელი საფრთხეები და დასაქმებული პირების მიმართ გაცემული რეკომენდაციები სსსმ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. გასულ სასწავლო წელს სკოლა წარმატებით ახორციელებდა ინკლუზიურ განათლებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სსსმ მოსწავლე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** შექმნილია ინკლუზიური სწავლებისადმი კეთილგანწყობილი გარემო , რაც დაფუძნებულია მასწავლებლებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაზე. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს. საპირფარეშოები კეთილმოწყობილი და ადაპტირებულია. სკოლას აქვს პანდუსი და სკოლის პირველი სართულის სივრცე ხელმისაწვდომია შშმ პირთათვის. სსსმ მოსწავლის სწავლა/სწავლების პროცესისათვის სკოლას აქვს რესურს ოთახი, რომელიც შეძლებისდაგვარად აღჭურვილია მოსწავლის საჭიროებებისათვის აუცილებელი სასწავლო მატერიალურ/ტექნიკური რესურსით ( სასკოლო-სასწავლო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა , საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინოებები, ადაპტირებული მხატვრული ლიტერატურა, ზღაპრები, კლასგარეშე საკითხავები.). სკოლას აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებდა ინტერვენციის გეგმას, ადგენდა რესურს ოთახში მოსწავლესთან მუშაობის ცხრილს. ამ პროცესში ჩართული იყო მშობელი. სკოლაში გუნდურად ხდება მუშაობა მოსწავლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე, მეგობრებთან ურთიერთობაზე. სკოლა იცავს მოსწავლის კონფიდეციალურობას, მოსწავლის პორთფოლიო და პირადი საქმე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ისგ ჯგუფის წევრებისთვის, რესურს ოთახში გაკრულ ცხრილზე მოსწავლის სახელი და გვარი წარმოდგენილი იყო მხოლოდ ინიციალებით. სკოლაში ხშირად იმართება ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- ✓ ისგ გეგმა;
- ✓ ისგ ჯგუფის ოქმი;
- ✓ ინტერვენციის გეგმა.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. სკოლა არ ახორციელებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.**

**2.** სკოლაში არის სასკოლო ბუფეტი, ცეკვის წრე, რომელთა ფუნქციონირებისთვის  ფართი იჯარით არის გაცემული სამეურვეო საბჭოს თანხმობით, განათლებისა და მეცნიერების სამინიტროსა და ქონების მართვის სააგენტოს ნებართვით. აუქციონის წესით გამარჯვებული კომპანია ახორციელებს საქმიანობას, მოსწავლეებს სთავაზობს ბუფეტის მომსახურებას და ასევე ცეკვის წრის სახით მომსახურებას. ხელშეკრულების მიხედვით სკოლას მოიჯარისთვის გადაცემული აქვს სკოლის პირველ სართულზე

არსებული 15 კვ.მ. ფართის ინვენტართან ერთად დროებით სარგებლობაში გადაცემა, სკოლის ბუფეტის ფუნქციონირების მიზნით. ხელშეკრულებით განსაზღვრული არის იჯარის ფასი და გადახდის პირობები, მხარეთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები, ფორსმაჟორული და სხვა პირობები. მომსახურება კი ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით, რაც სკოლაში მოქმედებს და გათვალისწინებულია მოსწავლის საუკეთესო ინტერესები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3. დაწესებულება არ ახორციელებს რაიმე ტიპის საქმიანობას, რომელსაც არ აქვს კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულება.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

✓იჯარის ხელშეკრულებები;

✓სამეურვეო საბჭო ოქმი;

✓ეკონომიკური დეპარტამენტის ნებართვა;

✓სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს ნებართვა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება.

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(დაწყებითი საფეხური)

| II. სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>დაწყებითი საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილების თავმოყრასა და გააზრებას მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება

მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, თუმცა, სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები, რითაც გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან და მოსწავლის მშობლებთან და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს ახალი სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრებზე თანამშრომლობა კურიკულუმის შემუშავებისას აგრეთვე დასტურდება კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები*

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, სასკოლო პროექტებსა და კლუბურ სამუშაოებში. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის დროს სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება. თუმცა აღწერილ აქტივობებს ხშირად სპონტანური ხასიათი აქვს. სკოლამ უნდა შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი/საშუალება, რომლითაც გამოავლენს სასკოლო საზოგადოების

ინტერესებს და იმ გზებს, რითიც მოახდენს მონაცემთა დამუშავებასა და მათ შემდგომ გამოყენებას, რითაც შეძლებს კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ეფექტურად ასახვას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.**კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ ოქმები, რომლებითაც დასტურდება კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგების/ადმინისტრაციის თანამშრომლობა, თუმცა ნაკლებად ჩანს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობის მტკიცებულებები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გზები.*

4.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლები და სკოლის დირექცია მუდმივად აწვდიან მშობლების ინფორმაციას დაგეგმილი თუ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მშობლებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები და მშობელთა კრებები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცნობა და მშობლებისაგან უკუკავშირის მიღება. გასაუბრებისას დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდი

ახალი გაშვებულია და მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში იგი უნდა გახდეს ინფორმაციის მთავარი წყარო სასკოლო საზოგადოებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დეკლარირებული კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ სასკოლო კურიკულუმის მიმართ მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ პედსაბჭოს ოქმები;
- ✓ კათედრების ოქმები
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ თემატური მატრიცები;
- ✓ მოქალაქეობის პროექტის გეგმა „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პრეზენტაცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებს, „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პროექტი „კულტურული მრავალფეროვნება“;
- ✓ სამოქალაქო კლუბის „აქტიური მოქალაქე“ დებულება.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.** დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება ძირითადად იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემების ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. თუმცა გამოვლინდა გარკვეული შეუსაბამობებიც: დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოები არ არის წარმოდგენილი სრული სახით, მასში არ არის ასახული საგნის სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა, შესაბამისი საკითხთა კლასტერითა და სამიზნე ცნებებით, რაც უნდა შემუშავდეს საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ. მათემატიკის კათედრას კურიკულუმის ჩარჩოში დასაზუსტებელი აქვს სავალდებულო თემების დასახელება(ზოგან თემატური ბლოკის დასახელებაა შეტანილი), აგრეთვე დასასრულებელია 1-2 კლასების კურიკულუმები(გაწერილია პირველი თემები), სადაც შეფერხება სახელმძღვანელოების დაგვიანებით მიწოდებამ გამოიწვია და რაზედაც პედაგოგები უკვე მუშაობენ; სპორტის საგნობრივ ჯგუფში სკოლას მიეცა რჩევები: 1) 1, 2, 3 და 4 კლასების კურიკულუმებში ტანვარჯიშის ელემენტების ქვეცნებებში „სიარულის", „რბენის", „ხტომის" და „ტყორცნის" მაგივრად ჩაიწეროს ტანვარჯიშის ქვეცნებები და ამ თემის ფარგლებში შეივსოს კურიკულუმის ჩარჩოს დანარჩენი სვეტები; 2) 1-6 კლასების კურიკულუმებში მასწავლებლებმა შესთავაზონ ბავშვებს განსხვავებული თეორიული თემები, მაგ., სწორი კვება, მავნე ჩვევების პრევენცია, უსაფრთხოება და სხვ. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს სწორად ესმით მდგომარეობა და შეუსაბამობების

გამოსასწორებლად მიდის მუშაობა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის პედაგოგები ასწავლიან აგრეთვე საბაზო/საშუალო საფეხურზეც, სადაც წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტთან შესაბამისობაშია, ე.ი. მათ აქვთ საკმაო კომპეტენცია დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმების დასახვეწად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით.*

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმაში საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად მიემართება საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები. მასწავლებლები მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორც კომპლექსური დავალებებით, ასევე პროექტული ტიპის დავალებებით და სასკოლო პროექტების საშუალებით ცდილობენ, მათ ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ არაფორმალური განათლებაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებისათვის, დაწყებით საფეხურზე კი მასწავლებლებლი ხშირად ქმნიან არაფორმალურ გარემოს, გეგმავენ მიზნობრივ ექსკურსიებს.**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. კურიკულუმში ასახული საგნობრივი საკითხები, რესურსები, კონტექსტ-მაგალითები და კომპლექსური დავალებების იდეები იძლევა გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურების საშუალებას, სკოლაში განხორციელებული და ასევე დაგეგმილი პროექტები და ღონისძიებები ორიენტირებულია მოსწავლეთა ფუნქციურ-

კომპონენტური უნარების განვითარებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კონსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. საგნის კურიკულუმების, კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას დაწყებითი საფეხურზე უმეტეს კათედრებს წარმოადგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსურ დავალებებს აგრეთვე თან ახლავს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. დაწყებითი საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრას არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თუმცა, წარმოდგენილი აქვს საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების სამივე საფეხურის საგნებს ერთი და იგივე მასწავლებლები ასწავლიან, შესაბამისად მათ აქვთ მზაობა და ცოდნა იმისათვის, რომ შექმნან დაწყებითი საფეხურისათვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც დაეფუძნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული, შუალედური მიზნების საშუალებით და ყოველივე ეს ნათლად გამოიკვეთა ინტერვიუების დროსაც, მაგრამ მეხუთე-მეექვსე კლასისთვის არ წარმოუდგენიათ არც განმავითარებელი და არც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. წარმოდგენილი მასალებიდან ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე მიმართული შეფასება, თუმცა საჭიროა კათედრებმა სასწავლო თემების დამუშავების პარალელურად აქტიურად იმუშაონ შეფასების ინსტრუმენტების სექმნა/სრულყოფაზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად*

*მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება .*

5.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. დაწყებით საფეხურზე მათემატიკასა და ქართულ ენაში სკოლა ეყრდნობა ჯიპრაიდის ტესტებს, რომლებსაც იყენებს დიაგნოსტირებისათვის, უცხო ენების კათედრაზე დამკვიდრებულია წლის ბოლოს საგნის მასწავლებლების ანგარიშების წარმოდგენა/ანალიზი, რის საფუძველზეც განიხილება ძირითადი გასაუმჯობესებელი და მომავალში გასათვალისწინებელი საკითხები. ყოველწლიურად, დირექტორი 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც დეტალურად განიხილება დაგეგმილი , შესრულებული თუ შეუსრულებელი ამოცანებისა თუ აქტივობების შესახებ. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასკოლო სასწავლო გეგმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ)*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია;
- ✓ შეფასების რუბრიკები;

- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ სასკოლო  პროექტები;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

**5.** სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან სასკოლო პროექტებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი კიდევ უფრო მეტად აპირებენ პროექტული ტიპის დავალებებით მუშაობის გაძლიერებას დაწყებით საფეხურზე, მათი აზრით ასეთი ტიპის დავალებები მეტად უწყობს ხელს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას და მოსწავლეებში მოწონებით სარგებლობს, რაც მათ მოტივაციასა და სამუშაოს შესრულებაზე აისახება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია პროექტების ინიცირება, ღონისძიებები, თანამშრომლობითი აქტივობები, რეფლექსია; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ

ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურზე განხორციელებულ რამდენიმე კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; - ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნა უწყობს ხელს მოსწავლეებში საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.**საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. მაგალითად. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ეტაპები ისეა დაგეგმილი, რომ პროცესი დეკლარატიული ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ გადადიან პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. სადგურ მარელისის საჯარო სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით მუშაობის საკმაოდ კარგი გამოცდილება, ასევე, აქვთ პროექტებით მუშაობის გამოცდილებაც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**5.**გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის დოკუმენტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. ასევე სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს სასკოლო პროექტებს, რომლებიც ასევე ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. თუმცა ამ მიმართულებით დაწყებით საფეხურს სჭირდება მეტი მუშაობა, როგორც ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა მუშაობის პროექტების განხორციელების

არასაკმარისი გამოცდილება აქვს დაწყებით საფეხურზე და ახალი სასწავლო წლისათვის გეგმავს კოლეგებთან თანამშრომლობით გაიღრმავოს გამოცდილება და სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის გაითვალისწინოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიწოდებული უკუკავშირი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ მოსწავლეების ნამუშევრები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. თუმცა გამოიკვეთა, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები არ არის სრულოფილი, საჭიროებს დახვეწას, საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თითოეული თემის, სამიზნე ცნებისა და თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხების დაკონკრეტებას. კურიკულუმის ჩარჩოებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასვე უზურნველყოფს სასკოლო პროექტებიც, რომელიც დაწყებითი საფეხურზე საკმაოდ აქტიურად გამოიყენება და რისი მტკიცებულებებიც გამოფენილია საკლასო ოთახებსა და დერეფნებში. სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს დახვეწას, საგნის სტანდარტით გათვალისწინებული თითოეული თემის, სამიზნე ცნებისა და თემის ფარგლებში შესასწავლი საკითხების დაკონკრეტებას, რათა სრულად გამოჩნდეს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებული პროცესი. ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ადრეული კლასებიდანვე აძლევენ შესაძლებლობას თავად გააკეთონ არჩევანი თუ რომელ საკითხზე ან

როგორი სახით წარმოადგენენ კომპლექსურ დავალებას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და ხელს უწყობენ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებსა და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ მტკიცებულებებიდან შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს შეფასების საკმაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, თუმცა საჭიროა მუდმივი მუშაობა შეფასების სისტემის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით მოსწავლის პიროვნული განვიტარებისათვის აქტუალური გარემოებების შეფასების მიმართულებით. მაგალითად წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ტექნოლოგიებში არ არის აქცენტირებული მხოლოდ საგნობრივი საკითხის დასწავლაზე, არამედ მოსწავლის სასწავლო პროცესში აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს, ხოლო უცხოურ ენებში სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების რუბრიკები სხვადასხვა აქტივობისთვის, რომლებიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნებს, სტანდარტის შედეგებს, სამიზნე ცნებებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.*

4. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასებთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმი არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, გარდა ამისა, იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა

კრიტერიუმების საფუძველზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც 2023 წელს შეიმუშავა. ამ დოკუმენტით სკოლა გეგმავს ჩაატაროს ვერიფიკაცია ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირები, შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცედურა; გაწერილია ვერიფიკაციის 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი ახალმიღებულია და მასზე დაყრდნობით ვერიფიკაციის ჩატარება მიმდინარე სასწავლო წელსაა დაგეგმილი; უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დოკუმენტი არის ზოგადი და საჭიროებს დახვეწა/გაუმჯობესებას, ნაბიჯებისა და პროცედურების დაკონკრეტებას, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი. გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში გეგმავენ დოკუმენტის მოდიფიცირებას და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად მის სრულყოფას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*6.* სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ფიქსირდება ერთიანი წესი შემაჯამებლების თუ სხვა ტიპის დავალებების შენახვასთან დაკავშირებით; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ კურიკულუმის დანართები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი  შეფასების რუბრიკები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები;
- ✓ სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ✓ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
1. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
2. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმი  შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში,  არაფორმალური აქტივობები, სასწავლო პროექტების განხორციელება განაპირობებს სკოლაში  მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები  მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი  გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე.

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. სწავლების დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად . სკოლაში დაწყებითი საფეხურზე ხშირად ტარდება სხვადასხვა პროექტი, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სწავლების დაწყებითი საფეხურზე  სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები . ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები.   დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით.  პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ  გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, რაც ასევე ერთ-ერთი კომპონენტია თანამშრომლობით პროცესებში, რადგან სასკოლო პროექტები მოითხოვს გუნდურ მუშაობას, როგორც მასწავლებლებს, ისე დირექციას, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობას, ითვალისწინებენ მათ ინიციტივებს სასკოლო პროექტებში, ხოლო მშობლებთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღებისათვის იყენებენ მშობელთა კრებებს, სხვადასხვა სოციალურ ქსელს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გაკეთებულია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის, ხალხური საკრავების და ფოლკლორის წრე, სკოლა ზრუნავს შექმნას გარემო თითოეული მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დანერგვის პროცესი, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას მოახდენს  სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ კურიკულუმის დანართები;
- ✓ სასკოლო პროექტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.*

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება პროცედიდ დაგეგმვა და ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუსავება.ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, უზიარებენ ერთმანეთს უკუკავშირს და ასევე ახდენენ თვითრეფლექსიას მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების ანალიზს, აანალიზებენ მათ მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ შემაჯამებლებს, შემდეგ განიხილავენ მოსწავლეებთან ერთად ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. შესაბამისად,

მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

**ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გ ზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.*

**ინდიკატორი 2.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტთან**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის  შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით.*

**2.** სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის  და შეფასების განხორციელების მაგალითები. სკოლა შეფასებისთვის  იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება  და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავების

მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების სეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით; **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენენ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია**
**2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია**

2. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
3. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენრის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის

დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით(მოსწავლეთა სედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას დაგეგმილ და შესრულებულ კურიკულუმს შორის.ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე, სკოლას ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში აქვს შესაბამისი გამოცდილება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება (საბაზო საფეხური)

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საბაზო საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგურ მარელისის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილების თავმოყრასა და გააზრებას მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, თუმცა, სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები, რითაც გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან და მოსწავლის მშობლებთან და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს ახალი სასწავლო წლის

კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრებზე თანამშრომლობა კურიკულუმის შემუშავებისას აგრეთვე დასტურდება კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.*

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, სასკოლო პროექტებსა და კლუბურ სამუშაოებში. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის დროს სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება. თუმცა აღწერილ აქტივობებს ხშირად სპონტანური ხასიათი აქვს. სკოლამ უნდა შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი/საშუალება, რომლითაც გამოავლენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და იმ გზებს, რითიც მოახდენს მონაცემთა დამუშავებასა და მათ შემდგომ გამოყენებას, რითაც შეძლებს კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ეფექტურად ასახვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება

კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება  სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ ოქმები, რომლებითაც დასტურდება კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგების/ადმინისტრაციის თანამშრომლობა, თუმცა ნაკლებად ჩანს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობის მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გზები.*

4.სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლები და სკოლის დირექცია მუდმივად აწვდიან მშობლების ინფორმაციას დაგეგმილი თუ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მშობლებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება  სოციალური ქსელები და მშობელთა კრებები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცნობა და მშობლებისაგან უკუკავშირის მიღება. გასაუბრებისას დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდი ახალი გაშვებულია და მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში იგი უნდა გახდეს ინფორმაციის მთავარი წყარო სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დეკლარირებული კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ სასკოლო კურიკულუმის მიმართ მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ პედსაბჭოს ოქმები;

- ✓ კათედრების ოქმები;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ თემატური მატრიცები;
- ✓ მოქალაქეობის პროექტის გეგმა „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პრეზენტაცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებს, „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პროექტი „კულტურული მრავალფეროვნება“;
- ✓ სამოქალაქო კლუბის „აქტიური მოქალაქე“ დებულება.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. კურიკულუმებით, შეფასების რუბრიკებით, კომპლექსური დავალების ნიმუშების, გაცნობითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ საბაზო საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნობრივი კურიკულუმები იძლევიან მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის შესაძლებლობას. გარკვეული უზუსტობებია საბაზო საფეხურის მათემატიკის კურიკულუმებში, კერძოდ ზოგან თემის ნაცვლად აღწერილია თემატური ბლოკი. ინტერვიურების დროს მასწავლებლებმა მიიღეს ეს უზუსტობა და დაადასტურეს, უახლოეს რომ საკითხი უმოკლეს ვადაში გასწორდება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით.*

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად მიემართება საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. საბაზო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი 2020 წლიდან ჩართულნი არიან ახალი სკოლის მოდელში და აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება, მათ აღნიშნეს შუალედური სასწავლო მიზნების სწორად დაგეგმვის როლი მოსწავლეზე

ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. მაგალითად, ქართული ენის კათედრა გეგმავს განახორციელოს კომპლექსური დავალება შესწავლილი ტექსტების და დამატებითი მასალების გათვალისწინებით, დაგეგმილია ანალიტიკური ესეს დაწერა, რომლის მიზანიც არის სამიზნე ცნებების - ჟანრის, კომპოზიციის, ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების, კონტექსტისა და გრამატიკის - გააქტიურება და დამუშავება, გამოკვეთილია რომელი ქვეცნებები აქტიურდება, რაც ხელს უწყობს პროცესის ნათლად წარმოდგენას, ჩანს, თუ როგორ მიჰყავს მასწავლებელს მოსწავლეები ნაბიჯ-ნაბიჯ კომპლექსური დავალების პირობის შესრულებამდე. აღსანიშნავია სასკოლო პროექტები და კლუბური მუშაობა, რომელიც აქტიურად გამოიყენება სკოლში და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*საბაზო საფეხურის სპორტის კათედრას მიეცა მასწავლებლებს მიეცა რჩევა, გაამრავალფეროვნონ თეორიული საკითხები, მაგ., დაამატონ შემდეგი საკითხები: ჯანსაღი ცხოვრების წესი, საქართველოს გამოჩენილი სპორტსმენები, ქართველი ოლიმპიელები და/ან სხვ.*

3. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ, ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კონსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. საგნის კურიკულუმის - კომპლექსური დავალებების პირობის, შეფასების რუბრიკებისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის გაცნობით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*4.* სკოლას საბაზო საფეხურზე უმეტეს კათედრებს წარმოადგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსურ დავალებებს აგრეთვე თან შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი ფლობენ შეფასების კრიტერიუმების შექმნის კომპეტენციებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დაკონკრეტებას თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისთვის შეარჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც მწირადაა წარმოდგენილი(თითო ნიმუში) განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც აფერხებს ქართული ენის კათედრაზე სასწავლო პროცესში შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება .*

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. მაგალითად საბუნებისმეტყველო კათედრა ატარებს კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზს,რაც კათედრის ოქმებშით დასტურდება; საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და სკოლის დირექციასთან, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და უკუკავშირს, რაც აღწერილია კათედრის ოქმშიც. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
***ექსპერტთა რჩევაა, მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ)***

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ სასკოლო პროექტები;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი;
- ✓ წარმოდგენილი მატრიცათა ნიმუშები;

- ✓ კათედრის ოქმი - პირველი სემესტრის შედეგების შეჯამების შესახებ.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.2 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო პროექტებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს კლუბური მუშაობა, რადგან აღნიშნულ კლუბებში (მაგალითად: კლუბი - „თანასწორობა", „აქტიური მოქალაქე") ისინი ერთვებიან თავიანთი სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად და ეძლევათ საშუალება ჩაერთონ აქტიურ შემოქმედებით პროცესებში და განავითარონ მათი ინტერესები. საგნობრივი კურიკულუმებით, სასკოლო კლუბების მასალებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ ისინი ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზს, რაც ეხმარებათ სწავლის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაში, რათა შემდომი პროცესი დააშენონ წინარე გამოცდიელბას და ასევე, აქტიურად იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, რაც ეხმარებათ მოსწავლეების წინარე ცოდნის დადგენაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია

იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საბაზო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მაგალითად ქართული ენის კათედრაზე საბაზო საფეხურზე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებაში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სასწავლო პროცესს ლაიტმოტივად გასდევს განხორციელებული აქტივობების თვითრეფლექსია: რა გაგიძნელდა, რა გაგიადვილდა? რატომ? რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გადაჭერი? რატომ ვერ გადაჭერი? როგორ მოიქცევი მომავალში, რომ მსგავსი პრობლემა გადაჭრა; რა ძლიერი და სუსტი მხარეები გაქვს პირობის მოთხოვნებთან მიმართებით? რამდენად შეძელი საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას - თხზულების შექმნისას? რატომ? - ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნა უწყობს ხელს მოსწავლეებში საკუთარი სწავლების პროცესზე დაკვირვების უნარების განვითარებას. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4.საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. მაგალითად. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ეტაპები ისეა დაგეგმილი, რომ პროცესი დეკლარატიული ცოდნიდან ნაბიჯ-ნაბიჯ გადადიან პროცედურულ და პირობისეულ ცოდნაზე. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელია ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. მაგალითად, მათემატიკის კათედრის წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რაც უზრუნველყოფს ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას, რადგან პირობისეული ცოდნა, რომელიც წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს ცოდნათა

ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას; ხოლო ქართული ენის კათედრას მეშვიდე კლასში მომპლექსურ დავალებად დაგეგმილი აქვს ანალიტიკური ესეს დაწერა ბაზალეთის ტბასთან დაკავშირებული ლეგენდისა და ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბის“ საფუძველზე, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა ცოდნა: ეპოქის მახასიათებლები, ავტორის მთავარი სათქმელი, თემა, ავტორის ბიოგრაფიული დეტალები და ა.შ. მხოლოდ ამ ცოდნათა გაერთიანებით შეძლებს მოსწავლე დავალების შესრულებას. ასევე სკოლა ახორციელებს სასკოლო პროექტებს, კლუბურ სამუშაოებს, (მაგალითად: პროექტი „მონაწილეობაა ჩემი უფლებაა“, პროექტი „კულტურული მრავალფეროვნების შესახებ) რომლებიც ასევე ხელს უწყობს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ მუსიკის და ხელოვნების მატრიცები;
- ✓ კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ კლუბების მუშაობის მასალები;
- ✓ სასკოლო პროექტების მასალები;
- ✓ ფოტომასალა განხორციელებული კომპლექსური დავალებების შესახებ.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. თუმცა გამოიკვეთა, რომ მუსიკაში 7-9 კლასებში დასაზუსტებელია ქვეცნებების მიმართება თემასა და საკითხებთან . კურიკულუმის ჩარჩოებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასვე უზურნველყოფს სასკოლო პროექტებიც, რომელიც საბაზო საფეხურზე აქტიურად გამოიყენება (მაგლითად: პროექტი - „კულტურული მრავალფეროვნება“). სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, მუსიკის საგნში, მე- 7-მე- 9 კლასების კურიკულუმში გაწერილი ქვეცნებები დაზუსტებული იყოს თემასა და საკითხთან მიმართებით, მაგალითად, მე-7 კლასის თემაში -ბუნებრივი და მექანიკური ჟღერადობა მუსიკაში, საკითხი-ელექტრონული მუსიკა, ქვეცნებები გაიწეროს ასე: ბგერა-ბგერის თვისებები, აკუსტიკური, სინთეზური ბგერა; რიტმი-სხვადასხვა*

*გრძლიობის ბგერების თანმიმდევრობა, რიტმული ფიგურაციები; მელოდია-ინტონაციური სვლები;ჰარმონია-კონსონანსი და დისონანსი, ჰარმონიული სვლები ტრადიციულ ელექტრონულ მუსიკაში; ფორმა- მუსიკალური სექცია.*

2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კერძოდ, სკოლას სასკოლო კურიკულუმში, პრიორიტეტული თემებიდან, შერჩეული აქვს პროექტის „უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში" განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გლობალურ/ფუნქციური უნარების განვითარებას; აგრეთვე ბუნებისმეტყველების საგნებში მატრიცები მოწავლის ინტერესთა სფეროს გათვალისწინებითაა შექმნილი, ემსახურება მოსწავლის, როგორც მოქალაქის პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშავებას ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ასპექტებში, ასევე ითვალისწინებს სოციალური უნარების; კომუნიკაციის, კოლაბორაციის, ემპათიის და სხვა უნარების გამომუშავებას. ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომმოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას თავად გააკეთონ არჩევანი თუ რომელ საკითხზე ან რა პროდუქტის სახით წარმოადგენენ კომპლექსურ დავალებას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და ხელს უწყობენ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებსა და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. მაგალითად, მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხოლო ამ ანალიზის შედეგად დოკუმენტი რემედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ; საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ფურცელი, პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფების შეფასების რუბრიკა, გაანმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კონკრეტული ერთი გაკვეთილისთვის , რომელიც კომპლექსური დავალების ერთი კრიტერიუმის დაფარვას ემსახურება და განმავითარებელი შეფასება რომელიც სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების გაზომვის საშუალებას იძლევა; ასევე უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების საკმაოდ

მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (სიტყვიერი კომენტარი, შუქნიშანი, თორმეტსიტყვიანი შეჯამება, ერთწუთიანი პასუხები, რეაქციის ბარათები), მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები; მტკიცებულებებიდან შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს შეფასების საკმაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, თუმცა საჭიროა მუდმივი მუშაობა შეფასების სისტემის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით მოსწავლის პიროვნული განვიტარებისათვის აქტუალური გარემოებების შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.*

4. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასებთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმი არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, გარდა ამისა, იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც 2023 წელს შეიმუშავა. ამ დოკუმენტით სკოლა გემავს ჩაატაროს ვერიფიკაცია ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირები, შერჩევის მექანიზმები,

ვერიფიკაციის პროცედურა; გაწერილია ვერიფიკაციის 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი ახალმიღებულია და მასზე დაყრდნობით ვერიფიკაციის ჩატარება მიმდინარე სასწავლო წელსაა დაგეგმილი; უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დოკუმენტი არის ზოგადი და საჭიროებს დახვეწა/გაუმჯობესებას, ნაბიჯებისა და პროცედურების დაკონკრეტებას, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი. გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში გეგმავენ დოკუმენტის მოდიფიცირებას და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად მის სრულყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6.სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ფიქსირდება ერთიანი წესი შემაჯამებლების თუ სხვა ტიპის დავალებების შენახვასთან დაკავშირებით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ კურიკულუმის დანართები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები,
- ✓ სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;

✓ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში, არაფორმალური აქტივობები, სასკოლო კლუბების ფუნქციონირება განაპირობებს სკოლაში მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სწავლების საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას საბაზო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად . სკოლაში საბაზო საფეხურზე ხშირად ტარდება სხვადასხვა პროექტი, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** სწავლების საბაზო საფეხურზე  სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები.  დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით.  პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, რაც ასევე ერთ-ერთი კომპონენტია თანამშრომლობით პროცესებში, რადგან სასკოლო პროექტები მოითხოვს გუნდურ მუშაობას, როგორც მასწავლებლებს, ისე დირექციას, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობას, ამისათვის კი იყენებენ, მოსწავლეთა თვითშეფასა და ურთიერთშეფასებას, ითვალისწინებენ მათ ინიციტივებს სასკოლო პროექტებში, ხოლო მშობლებთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღებისათვის იყენებენ მშობელთა კრებებს, სხვადასხვა სოციალურ ქსელს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს კლუბური სამუშაოები, რომლებიც ასევე, მოიაზრებს თანამშრომლობასა და კომუნიკაციას მასწავლებლებს, დირექციას და მოსწავლეებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**4.** სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გაკეთებულია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის, ხალხური საკრავების და ფოლკლორის წრე, მკითხველთა, ეკო კლუბი, სამოქალაქო კლუბი, ინტელექტუალთა კლუბი, სკოლა ზრუნავს შექმნას გარემო თითოეული მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დანერგვის პროცესი, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა  გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას მოახდენს  სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- ✓ კურიკულუმის დანართები;

- ✓ სასკოლო პროექტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა

მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და პერიოდულობის მითითებით.*

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით.
კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება პროცესის დაგეგმვა და ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუშავება. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, უზიარებენ ერთმანეთს უკუკავშირს და ასევე ახდენენ თვითრეფლექსიას მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების ანალიზს, აანალიზებენ მათ მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ შემაჯამებლებს, შემდეგ განიხილავენ მოსწავლეებთან ერთად ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

*ექსპერტთა რჩევაა, მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გ ზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით.*

2. სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მაგალითები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად და საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის

შესასწავლად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენენ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დოკუმენტის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით(მოსწავლეთა სედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის

მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი(საშუალო საფეხური)

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>საშუალო საფეხური | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2. სასკოლო კურიკულუმი

### 2.1. კურიკულუმის შემუშავება

#### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სსიპ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სადგგურ მარელისის საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები (დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია). წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შეხედულებების შესწავლას, სასკოლო თემის წარმომადგენლების გამოცდილების თავმოყრასა და გააზრებას მოსწავლეთა შედეგების ანალიზის, მოსწავლის/მშობლის ჩართულობის, კათედრებისა და ადმინისტრაციის მუშაობის შესწავლის გზით უწყვეტად სასწავლო წლის განმავლობაში და შედეგების ასახვას ახალ კურიკულუმში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს, თუმცა, სკოლას კურიკულუმის მეთოდოლოგიის შემუშავების დოკუმენტში არ აქვს წარმოდგენილი კონკრეტული ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები, რითაც გამოჩნდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, სკოლის დირექციასთან, მოსწავლეებთან და მოსწავლის მშობლებთან და ითვალისწინებენ მათ უკუკავშირს ახალი სასწავლო წლის

კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრებზე თანამშრომლობა კურიკულუმის შემუშავებისას აგრეთვე დასტურდება კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს ნაბიჯები/ინსტრუმენტები/საშუალებები რომელთა საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა, დაზუსტდეს პერიოდულობა და განისაზღვროს პროცესებზე პასუხისმგებელი პირები.*

2. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურიკულუმის შედგენამდე იქმნება სამუშაო ჯგუფი,რომელიც სასკოლო საზოგადოების ინტერესების დადგენი მიზნით,ატარებს გამოკითხვას. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა გეგმავს კურიკულუმების შემუშავებას. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, რომლებიც ასახულია წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში, სასკოლო პროექტებსა და კლუბურ სამუშაოებში. დამრიგებლები საგნის მასწავლებლებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან მათ ინფორმაციას დაგეგმილი ღონისძიებებისა თუ აქტივობების შესახებ და მათგან მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში. ინტერვიუს მსვლელობის პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება ასევე ხდება პროექტების და სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში, მშობლებთან პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის დროს სადაც ხდება მშობლების ინფორმირება, მათი უკუკავშირის მიღება და გათვალისწინება. თუმცა აღწერილ აქტივობებს ხშირად სპონტანური ხასიათი აქვს. სკოლამ უნდა შეიმუშაოს მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტი/საშუალება, რომლითაც გამოავლენს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და იმ გზებს, რითიც მოახდენს მონაცემთა დამუშავებასა და მათ შემდგომ გამოყენებას, რითაც შეძლებს კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესების ეფექტურად ასახვას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის შემუშავების პროცესში. კერძოდ განსაზღვრულია მასწავლებლების, კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოსაყენებელი საკომუნიკაციო არხები. საგნობრივ ექსპერტებთან საუბრისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივ კურიკულუმს შეიმუშავებს მასწავლებელი და განსახილველად წარადგენს კათედრაზე. კოლეგებთან შეთანხმებით შემუშავდება

კურიკულუმის საბოლოო ვერსია, რაც დამტკიცდება მომდევნო სასწავლო წლის დასაწყისში. სასწავლო წლის განმავლობაში კათედრებზე ხდება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების განალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილია, რომ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი და ამ პროცესში სასკოლო საზოგადეობის წევრების შეხედულებების კვლევა, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში ციკლურად მიმდინარეობს. კათედრებს წარმოდგენილი აქვთ ოქმები, რომლებითაც დასტურდება კურიკულუმის შემუშავებისას პედაგოგების/ადმინისტრაციის თანამშრომლობა, თუმცა ნაკლებად ჩანს მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობის მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმის შემუშავების პროცესში მოსწავლეების/მშობლების ჩართულობის გ ზები.*

3. სკოლას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესი ციკლურია და მასში ჩართულობა გულისხმობს მთელი წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებში თანამონაწილეობას, რასაც არეგულირებს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლები და სკოლის დირექცია მუდმივად აწვდიან მშობლების ინფორმაციას დაგეგმილი თუ მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რაც ადასტურებს ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. მშობლებთან კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები და მშობელთა კრებები, სადაც ხდება ინფორმაციის გაცნობა და მშობლებისაგან უკუკავშირის მიღება. გასაუბრებისას დირექციამ აღნიშნა, რომ სკოლის ვებ-გვერდი ახალი გაშვებულია და მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში იგი უნდა გახდეს ინფორმაციის მთავარი წყარო სასკოლო საზოგადოებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტით დეკლარირებული კურიკულუმის შემუშავებისა და რევიზიის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პრაქტიკული რეალიზაცია ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ სასკოლო კურიკულუმის მიმართ მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ პედსაბჭოს ოქმები;
- ✓ კათედრების ოქმები;
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები;
- ✓ თემატური მატრიცები;
- ✓ მოქალაქეობის პროექტის გეგმა „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პრეზენტაცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებს, „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“;
- ✓ პროექტი „კულტურული მრავალფეროვნება“;
- ✓ სამოქალაქო კლუბის „აქტიური მოქალაქე“ დებულება.

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. **** დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმებით სკოლაში სწავლება იგეგმება ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო თემების მიხედვით. თემის ფარგლებში მოცემულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კონტექსტ-მაგალითები და შედარების მაგალითები აღებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, შეესაბამება მოსწავლის ინტერესებს, გათვალისწინებულია ასაკობრივი თავისებურება. კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. მაგალითად საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ მომზადებული კურიკულუმები ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, საგნობრივი ჯგუფის მიერ შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები თითოეული კლასის მიხედვით. დოკუმენტაციის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი აგებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გამთლიანებულად წარმოჩენას კომპლექსური დავალებების პირობების მიხედვით მომზადებული კონკრეტული პროდუქტების სახით. ამას ასევე ადასტურებს სასკოლო პროექტები და კლუბური მუშაობა, რომელიც აქტიურად გამოიყენება სკოლის მიერ. მათემატიკის მეათე-მეთორმეტე კლასების კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმში სასწავლო თემები მოსაყვანია მათემატიკის სტანდარტით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებთან შესაბამისობაში, ეს შეუსაბამობა გადაუბრებისას გაიზიარეს სკოლის პედაგოგებმა და კურიკულუმები დაზუსტდება უმოკლეს ვადაში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმების დაგეგმვისა და მოდიფიცირების პროცესში სკოლის დირექციამ/კათედრებმა/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საგნობრივი კურიკულუმების სტანდარტთან შესაბამისობის საკითხებს, დაგეგმონ აქტივობები კურიკულუმების დაგეგმვის კუთხით პედაგოგების კომპეტენციების კვლევისა და ამაღლების მიმართულებით.*

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის პროექტში, საგნობრივ კურიკულუმებში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებში იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს თუ რამდენად მიემართება საგნის შედეგები საგნობრივი ჯგუფის მიზნებსა და ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რასაც შესაბამისად მივყავართ მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებისკენ. საშუალო საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა

მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ისინი 2020 წლიდან ჩართულნი არიან ახალი სკოლის მოდელში და აქვთ კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება, მათ აღნიშნეს შუალედური სასწავლო მიზნების სწორად დაგეგმვის როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწავლა-სწავლების ამგვარი მიდგომა შესაძლებელს გახდის მოსწავლეებთან ფუნქციურ-კომპონენტური ექვსივე უნარის სათანადოდ დამუშავებას, შესაბამისად, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას. გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას ხელს უწყობს ინტეგრირებული გაკვეთილებიც (მაგალითად: ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობისა და ბიოლოგიის საგნებს შორის საშუალო საფეხურზე). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში კომპლექსური დავალებების ფარგლებში წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის მოქნილობას და თითოეული მოსწავლის ინიდივიდუალური საჭიროებების, შესაძლებლობებისა და სწავლის პოტენციალის გათვალისწინებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის შეფასებას, საჭიროების შემთხვევაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მშობელთან კონსულტირებას, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში. მასწავლებლებმა იტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ისინი ხშირად იყენებენ სასწავლო პროცესში განსხვავებულ აქტივობებს მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, აძლევენ მოსწავლეებს კომპლექსური დავალების პროდუქტის არჩევის შესაძლებლობას, მაგალითად საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ხდება როლების გადანაწილება მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ზოგს შეუძლია ესსე დაწეროს, ზოგმა ვიდეო-რგოლი მოამზადოს და სხვა. გარდა ამისა, სასკოლო პროექტები და კლუბური სამუშაოები მოიაზრებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის საშუალო საფეხურზე უმეტეს კათედრებს წარმოადგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. კომპლექსურ დავალებებს აგრეთვე თან ახლავს შეფასების ინსტრუმენტები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ძირითადად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აღწერს მოსწავლის მიღწევებს და აჩვენებს მიმართებას საფეხურის შედეგების ინდიკატორებთან. საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ არ არის წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, თუმცა კათედრის მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ შეფასების განხორციელების კომპეტენციები ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ამასთანავე შედგენილი აქვთ რელევანტური რუბრიკები საბაზო საფეხურების კლასებისათვის. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისთვის შეარჩია პირველი მოდელი, რომლისთვისაც არ არის წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც აფერხებს ქართული ენის კათედრაზე სასწავლო პროცესში შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსაზღვრის შესაძლებლობას. თუმცა ქართული ენის კათედრასაც აქვს საბაზო საფეხურზე შექმნილი შესაბამისი რუბრიკები. ე.ი სკოლის სასუალო საფეხურის პედაგოგებს აქვთ საჭირო კომპეტენციები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული შეფასების განსახორციელებლად; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, საგნობრივმა კათედრებმა სასწავლო წლის მიმდინარეობისას შეიმუშაონ და დახვეწონ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელთა მეშვეობითაც ეფექტურად მოხდება როგორც სწავლის შედეგების აღწერა საგნობრივი სტანდარტების კრიტერიუმებთან მიმართებით, ასევე მოსწავლის განვითარების პროცესის დიაგნოსტირება .*

5. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შემუშავებას წინ უძღვის წინა წლის განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება, რაც ადასტურებს სკოლის მზაობას გაანალიზოს წინარე გამოცდილება და გაითვალისწინოს 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმის საბოლოო ვერსიაში. მაგალითად საბუნებისმეტყველო კათედრა ატარებს კომპლექსური დავალებების, შემაჯამებლების ანალიზს,რაც კათედრის ოქმებშით დასტურდება; ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და სკოლის დირექციასთან, სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებასა და უკუკავშირს, რაც აღწერილია კათედრის ოქმშიც. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო კურიკულუმისა და საგნობრივი კურუკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების

პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. კათედრაზე პედაგოგები განიხილავენ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, მიზანშეწონილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დაკონკრეტდეს კურიკულუმების დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის მოგროვების/ანალიზის წყაროები/ინსტრუმენტები(პრაქტიკის კვლევა, რეფლექსიები, პორტფოლიოების ანალიზი, სასწავლო პროდუქტის შეფასება და ა.შ).*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგია;
- ✓ შეფასების რუბრიკები;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ✓ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშები;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ სასკოლო პროექტები;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.2.კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო თემები წარმოადგენს მოსწავლისათვის ნაცნობ კონტექსტს. ასევე მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებების ისეთი იდეები და კონტექსტ მაგალითები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას. ამასთან, წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, ამასთან, პროდუქტის შექმნა შემოქმედებითი უნარების გამოყენებას მოითხოვს, შესაბამისად, აღნიშნული იზრდება მოსწავლეთა დაინტერესება. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ჩართულნი არიან არაფორმალურ აქტივობებში, სასკოლო პროექტებში, მათი ნამუშევრები გამოფენილია სასკოლო სივრცეში, სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და საკლასო კლიმატი, ღიაობა და მაღალი მიმღებლობა, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდასა და მათ შემოქმედებით პოცესებში ჩართვას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებში განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობს კლუბური მუშაობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი გახდეს უფრო საინტერესო და მამოტივირებელი, საჭიროა მასში ჩაშენდეს

პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და უფრო აქტიურად გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. საგნობრივი კურიკულუმებით, სასკოლო კლუბების მასალებით, მოსწავლეთა ნამუშევრებითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. სკოლის მოწოდებულ კურიკულუმებში იკვეთება კომპლექსური დავალებების განხორციელების მიზნები, რომლებიც თავისთავად მოიცავს ახალი ცოდნის დაშენებას წინარე ცოდნაზე. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ ისინი ახდენენ კომპლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების ანალიზს, რაც ეხმარებათ სწავლის პროცესში გამოვლენილი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაში, რათა შემდომი პროცესი დააშენონ წინარე გამოცდიელბას და ასევე, აქტიურად იყენებენ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების კომპონენტს, რაც ეხმარებათ მოსწავლეების წინარე ცოდნის დადგენაში.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, ასევე კონტექსტ და შედარების მაგალითები და რესურსები, რომლებზე მუშაობაც მოითხოვს სწავლის სტრატეგიების ცოდნას და დაუფლებას, მაგალითად, კოგნიტური სქემების გამოყენება, დაგეგმვა, რეფლექსია და სხვა. კათედრების სამუშაო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია იძლევა საშუალებას დადგინდეს, რომ საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება არ მარტო საგნობრივ ცოდნაზე, არამედ სწავლის სწავლაზე, გამოცდილების გამოყენებაზე, სტრატეგიებზე, იგულისხმება კომპლექსური დავალებებით მუშაობის პრინციპი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს თავად ააგონ ცოდნა და იპოვონ კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან. მაგალითად ქართული ენის კათედრაზე კომპლექსური დავალების (საინფორმაციო-ანალიტიკური ტექსტის დაწერა გაზეთისთვის გიორგი მერჩულის ნაწარმოების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აღმოჩენისა და მნიშვნელობის შესახებ.), მომზადება, ხელს უწყობს წინარე ცოდნის გააქტიურებასაც, ვინაიდან, თემატურ გეგმაში დეტალურადაა გაწერილი შეკითხვები, რომლებიც თემატური თვალსაზრისით ააქტიურებენ მოსწავლეებში ნაცნობ კონტექსტებს და მათზე დაშენებით აიგება ახალი ცოდნა; ხოლო საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე შემოთავაზებული კომპლექსური დავალებები თავის

თავში მოიცავს მეტაკოგნიტურ კითხვებს, რომლებიც აფიქრებს მოსწავლეებს, თუ როგორ შეაფასონ და წარმართონ თავიანთი სწავლის პროცესი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ხშირად სთხოვენ ახალი მასალის შეჯამებას, ასევე სასწავლო პროცესში იყენებენ მოსწავლეთა თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლები იაზრებენ სწავლის სტრატეგიების გამოყენების აუცილებლობას სასწავლო პროცეში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები, რომელთა განხორციელებაც მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე და მოსწავლეებს აქვთ გარკვეული პროცედურების გავლით მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის შესაძლებლობა. სადგურ მარელისის საჯარო სკოლას კი კომპლექსური დავალებებით მუშაობის მრავალმხრივი და საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ, ასევე, აქვთ პროექტებით მუშაობის მრავალმხრივი გამოცდილებაც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში მოხდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ცოდნა ორგანიზებულია და ურთიერთდაკავშირებულია, რაც დასტურდება წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობებითა და მომავალი სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით. პირობისეული ცოდნა, რომელიც კომპლექსური დავალებების განხორციელების აუცილებელი პირობაა, ხელს უწყობს სწორედ ამ უნარის განვითარებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლის საზოგადოება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სწორედ მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს. მაგალითად, მეათე კლასში დაგეგმილი აქვთ შემდეგი კომპლექსური დავალების განხორციელება - სულხან-საბა ორბელიანის - „სიბრძნე-სიცრუისას“ მიხედვით ანალიტიკური ესეს დაწერა თემაზე: “სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები სწავლა-აღზრდის შესახებ“, რომლის შესასრულებლადაც მოსწავლეს აუცილებლად სჭირდება სხვადასხვა „ცოდნა“. ამ ცოდნათა გაერთიანებით შეძლებს მოსწავლე დავალების შესრულებას, შესაბამისად, კომპლექსური ხასიათის დავალება ხელს უწყობს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას , სკოლა საკმაოდ აქტიურად იყენებს პროექტული ტიპის დავალებებს, ახორციელებენ სასკოლო პროექტებს, კლუბურ სამუშაოებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, არა მხოლოდ კათედრის დონეზე, არამედ სხვა საგნებთან (მაგალითად: ინტეგრირებული გაკვეთილი ისტორიის, გეოგრაფიის, მოქალაქეობისა და ბიოლოგიის საგნებს შორის). **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საგნობრივი კურიკულუმის შევსებული ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები;
- ✓ მუსიკის და ხელოვნების მატრიცები;
- ✓ კომპლექსური დავალების ნიმუშები;
- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ კლუბების მუშაობის მასალები;
- ✓ სასკოლო პროექტების მასალები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სავალდებულო თემები, რომელთაც შეესაბამება გრძელვადიანი მიზნები - ცნებები და, ასევე, ქვეცნებები კომპლექსურ დავალებასთან მიმართებით, ცნებებთან დაკავშირებულია შესასწავლი საკითხები, კომპლექსური დავალებები და რესურსები. სკოლის მიერ შემუშავებული განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ცნების მკვიდრი წარმოდგენებიდან და აღწერს, თუ რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან შესასწავლ საკითხსა და ქვესაკითხებთან მიმართებით. კურიკულუმის ჩარჩოებისა და შეფასების რუბრიკების გაცნობით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ამასვე უზურნველყოფს სასკოლო პროექტებიც, რომელიც საშუალო საფეხურზე აქტიურად გამოიყენება (მაგალითად: პროექტი - „მონაწილეობა ჩემი უფლებაა“).სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი არაფორმალური განათლების აქტივობები ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კერძოდ, სკოლას სასკოლო კურიკულუმში, პრიორიტეტული თემებიდან, შერჩეული აქვს პროექტის „უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში“ განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გლობალურ/ფუნქციური უნარების განვითარებას; აგრეთვე უცხო ენების კათედრაზე საგნობრივი კონტექსტის გათვალისწინებით მოსწავლეებმა კომპლექსურ დავალებებში უნდა აღწერონ დავალებების განხორციელებისას წამოჭრილი სირთულეები , საკუთარი დამოკიდებულებები საკითხის მიმართ , ემოციები და გრძნობები , რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუირების დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას თავად გააკეთონ არჩევანი თუ რომელ საკითხზე ან რა პროდუქტის სახით წარმოადგენენ კომპლექსურ დავალებას, მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს და ხელს უწყობენ მათ ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო კურიკულუმის დანართებში წარმოდგენილ რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებსა და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს, ითვალისწინებს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასებას. მაგალითად, მათემატიკის კათედრას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ხოლო ამ ანალიზის შედეგად დოკუმენტი რემედიაციის პროგრამის დამტკიცების შესახებ; საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს მოსწავლის ქცევაზე დაკვირვების ფურცელი, პროექტის მიმდინარეობისას ჯგუფების შეფასების რუბრიკა, გაანმავითარებელი შეფასების რუბრიკა სოლო ტაქსონომიით და განმავითარებელი შეფასება რომელიც სამიზნე ცნებების მკვიდრი წარმოდგენების გამომუშავების გაზომვის საშუალებას იძლევა; ასევე უცხო ენების კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების საკმაოდ მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (სიტყვიერი კომენტარი, შუქნიშანი, თორმეტსიტყვიანი შეჯამება, ერთწუთიანი პასუხები, რეაქციის ბარათები), მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ანალიზი, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასების რუბრიკები; მტკიცებულებებიდან შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს შეფასების საკმაოდ მრავალფეროვან ინსტრუმენტებს, თუმცა საჭიროა მუდმივი მუშაობა შეფასების სისტემის სრულყოფისათვის, განსაკუთრებით მოსწავლის პიროვნული განვიტარებისათვის აქტუალური გარემოებების შეფასების მიმართულებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისთვის გააძლიეროს მუშაობა ყველა კათედრაზე სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის დანერგვაზე, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას.*

4. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კათედრასებთან წარმართული ინტერვიუებისას გამოიკვეთა სკოლაში შემუშავებულია ვერიფიკაციის მექანიზმი არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად, გარდა ამისა, იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს, შექმნილი აქვთ ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საფუძველზეც ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და აწვდიან უკუკავშირს. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიანი მიზნს, შესაბამისად შეფასება არის ვალიდური, სანდო. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული შეფასების პროცესში, მონაწილეობას იღებენ შეფასების კრიტერიუმების შედგენაში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწავლეთათვის, ისე, რომ ისინი წინასწარ ინფორმირებულნი არიან თუ რა ფასდება და რა კრიტერიუმების საფუძველზე. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლა აანალიზებს შეფასების

სისტემის გამჭირვალეობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც 2023 წელს შეიმუშავა. ამ დოკუმენტით სკოლა გემავს ჩაატაროს ვერიფიკაცია ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. დოკუმენტში გაწერილია პასუხისმგებელი პირები, შერჩევის მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცედურა; გაწერილია ვერიფიკაციის 2023-24 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. დოკუმენტი ახალმიღებულია და მასზე დაყრდნობით ვერიფიკაციის ჩატარება მიმდინარე სასწავლო წელსაა დაგეგმილი; უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე დოკუმენტი არის ზოგადი და საჭიროებს დახვეწა/გაუმჯობესებას, ნაბიჯებისა და პროცედურების დაკონკრეტებას, შესაბამისი ინსტრუმენტების შერჩევას, რომლითაც განხორციელდება აღნიშნული პროცესი. გასაუბრებისას დირექციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის პროცესში გეგმავენ დოკუმენტის მოდიფიცირებას და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად მის სრულყოფას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**6.** სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიუირებისას განაცხადა, რომ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლაში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მონაცემები აისახება ელექტრონულ ჟურნალში. ჟურნალს აქვს დაარქივების ფუნქციონალები, სადაც ავტომატურად ინახება ინფორმაცია შედეგების შესახებ. ადმინისტრაციას ნებისმიერ დროს შეუძლია ამ მონაცემების ამოკრეფა და მიზნობრივად გამოყენება. ჟურნალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს შეფასების სტატისტიკის ამოკრება და ანალიზი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არ ფიქსირდება ერთიანი წესი შემაჯამებლების თუ სხვა ტიპის დავალებების შენახვასთან დაკავშირებით; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, სასურველია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის ვადები გაწერილი იყოს სკოლის რომელიმე მარეგულირებელ დოკუმენტში. ამით სასკოლო საზოგადოება მკაფიოდ იქნება ინფორმირებული მოცემულ რეგულაციებთან დაკავშირებით.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ✓ საშუალო საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის დანართები;
- ✓ განმავითარებელი და განმსაზღვრელი  შეფასების რუბრიკები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები;
- ✓ სასკოლო აქტივობებისა და ღონისძიებების პორტფოლიოები;
- ✓ შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი.

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო კურიკულუმი  შექმნილია სკოლის პრიორიტეტებისა და სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, სკოლის კურიკულუმის შემუშავების და კვლევის მეთოდოლოგიის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობას სასწავლო პროცესში,  არაფორმალური აქტივობები, სასკოლო კლუბების ფუნქციონირება განაპირობებს სკოლაში  მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს ჩამოყალიბებას. გასაუბრებაზე პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესები   მიმდინარეობს თანამშორმლობით, შექმნილია კეთილგანწყობილი  გარემო, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები დამყარებულია ურთიერთპატივისცემაზე. აღსანიშნავია, რომ სასკოლო სივრცეში მრავლადაა გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტის მიმდინარეობის მასალები, საკლუბო მუშაობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სწავლების საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. გასაუბრებისას საშუალო საფეხურის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ერთობლივად მუშაობენ თითოეული მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების გამოსავლენად . სკოლაში საშუალო საფეხურზე ხშირად ტარდება სხვადასხვა პროექტი, ფუნქციონირებს სასკოლო კლუბები, რომლებიც ასევე უწყობს ხელს მოსწავლეთა პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
3. სწავლების საშუალო საფეხურზე სკოლაში თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას ხელს უწყობს პროექტული მუშაობები ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტები, კომპლექსური დავალებები. დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით, სასკოლო პროექტებით, საგნობრივი კურიკულუმებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით. პედაგოგებმა და ადმინისტრაციამ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ თანამშრომლობა, გუნდურობა, კათედრებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება სკოლის ერთ-ერთი სკოლაში აქტიურად ხორციელდება სასკოლო პროექტები, რაც ასევე ერთ-ერთი კომპონენტია თანამშრომლობით პროცესებში, რადგან სასკოლო პროექტები მოითხოვს გუნდურ მუშაობას, როგორც მასწავლებლებს, ისე დირექციას, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის. მასწავლებლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მოსწავლეებთან და მშობლებთან თანამშრომლობას, ამისათვის კი იყენებენ, მოსწავლეთა თვითშეფასა და ურთიერთშეფასებას, ითვალისწინებენ მათ ინიციტივებს სასკოლო პროექტებში, ხოლო მშობლებთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიღებისათვის იყენებენ მშობელთა კრებებს, სოციალურ ქსელებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს კლუბური სამუშაოები, რომლებიც ასევე, მოიაზრებს თანამშრომლობასა და კომუნიკაციას მასწავლებლებს, დირექციას და მოსწავლეებს შორის. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გაკეთებულია საგამოფენო სივრცეები, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია განთავსებული. სკოლაში ფუნქციონირებს ცეკვის, ხალხური საკრავების და ფოლკლორის წრე, მკითხველთა, ეკო კლუბი, სამოქალაქო კლუბი, ინტელექტუალთა კლუბი, სკოლა ზრუნავს შექმნას გარემო თითოეული მოსწავლის ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.დიფერენცირებული მიდგომები, გაზიარებები, კურიკულუმის დანერგვის პროცესი, ანგარიშვალდებულება სასკოლო საზოგადოების წინაშე, სკოლის განვითარებაზე ერთობლივი პასუხისმგებლობა და ზრუნვა გაზრდის თემის და სრულიად სასკოლო საზოგადოების ურთიერთ ნდობას, პატივისცემას, მხარდაჭერას, რაც დადებით გავლენას მოახდენს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატზე ყველა დონეზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საშუალო საფეხურის  საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის დანართები;
- ✓ სასკოლო პროექტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით დანერგვის პროცესში გროვდება მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზეც ხდება კურიკულუმის განვითარების პროცესის შესწავლა, მისი მონიტორინგი და შეფასება. მონიტორინგი პასუხობს შეკითხვას - მიმდინარეობს თუ არა დაგეგმილის შესაბამისად პროცესები? შეფასება პასუხობს შეკითხვას - რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ამდენად, სკოლა მზადაა უპასუხოს დასმულ კითხვებს მის მიერ განსაზღვრული მონიტორინგის სისტემით. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტიც ამის დადასტურებაა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, სასურველია კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, პროცესზე პასუხისმგებელი პირებისა და ვადების მითითებით.*

2. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით.
კვლევა და შეფასება ტარდება დაგეგმვის ეტაპზე შეთანხმებული ფორმატით და წარიმართება შემდეგი მიმართულებებით:

- მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება სწავლის პროცესში დაგროვილი ხარვეზების გამოსავლენად ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით;
- კათედრების მუშაობა
- დირექცია /ადმინისტრაციის მუშაობა სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მიმართულებით;
- მშობელთა/მოსწავლეთა ჩართულობა;

მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება პროცედიდ დაგეგმვა და ანალიზი, შესაბამისი ინტერვენციების შემუსავება.ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, უზიარებენ ერთმანეთს უკუკავშირს და ასევე ახდენენ თვითრეფლექსიას მიმდინარე სამუშაოების შესახებ. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეების შედეგების ანალიზს, აანალიზებენ მათ მიერ შესრულებულ დავალებებსა თუ შემაჯამებლებს, შემდეგ განიხილავენ მოსწავლეებთან ერთად ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს და გეგმავენ სამომავლო ინტერვენციებს, რომელიც გააუმჯობესებს მოსწავლეთა შედეგებს. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგი და

შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერას. შესაბამისად, მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და დახმარება. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ცილკურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება.კურიკულუმის განვითარების პროცესი ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- კურიკულუმის ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე;
- სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე;
- კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს;
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი მჭიდრო კავშირშია სკოლაში მიმდინარე დამხმარე და მმართველობით პროცესებთან.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაიწეროს კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგის და შეფასების პროცედურები, განისაზღვროს კონკრეტული ნაბიჯები თუ როგორ/რა საშუალებებით მოხდება მონიტორინგი და შეფასება, რათა განისაზღვროს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გამოიკვეთოს გადაჭრის გზები გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.*

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;

- ✓ ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები). შეფასების ჰოლისტური ხასიათიდან გამომდინარე სკოლამ უნდა გამოიყენოს მრავალფეროვანი მეთოდები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
*ექსპერტთა რჩევაა, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესწავლის მიზნით, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების შეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით.*

**2.** სკოლის გამოცდილებაში არის მონიტორინგის და შეფასების განხორციელების მაგალითები. სკოლა შეფასებისთვის იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. მონიტორინგი და შეფასება, რომლის განხორციელებაც დაგეგმილია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების და გადაჭრის გზების დასახვისათვის; **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**3.** შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას განაპირობებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა, რასაც კონტექსტი განსაზღვრავს. კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად. კურიკულუმის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწეროს მონაცემების სეგროვების კონკრეტული მექანიზმები მეთოდების, წყაროების, პასუხისმგებელი პირებისა და რესურსების მითითებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი: დრო, სივრცე, გარემო... რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლაა აქვს გამოცდილება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაზე, ახდენენ სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ნებისმიერი მოვლენის შეფასებისას ცდილობენ გათვალსიწინებული იქნას დრო და სივრცე, მოქმედი ფაქტორები, ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს მოსწავლის შედეგზე. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.** კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე; კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი, თუ რამდენად მიმდინარეობს დაგეგმილის შესაბამისად პროცესები და რამდენად იძლევა განხორციელებული აქტივობები სასურველ შედეგს. ანალიზის საფუძველზე სკოლამ გეგმავს შექმნას რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და რეკომენდაციების პაკეტი სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის რევიზია. დუკუმენრის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უნდა უძღოდეს წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება რამდენიმე მიმართულებით(მოსწავლეთა სედეგები, მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა, კათედრის და დირექციის მუშაობა. თითოეული ზემოჩამოთვლილი საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების

საფუძველზე სკოლა შექმნის რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის.ინტერვიუირებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები დაშენდება წინარე გამოცდილებასა და მონიტორინგის შედეგებზე.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ✓ 2023-2024 სკოლის სასწავლო სასწავლო გეგმა;
- ✓ კურიკულუმის შემუშავებისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

17.11.2023

ხელმოწერა:

ნინო ვასაძე

ავთანდილ კეჭაყმაძე

თამარ ბერიძე

ანი მეხუზლა

ნათია ქათამაძე

ხათუნა კალმახელიძე

მორის გუმბარიძე

ნინო ჯახველაძე

მზია დადვანი

ქეთევან ქობალია

ეკატერინე კვირკველია